

STYLE

ARCHITECTURE

INTERIOR

DESIGN

თანამედროვე ლიტვის არქიტექტურა
Contemporary Lithuanian Architecture

თბილისის ახალი იპოდრომი
New Tbilisi Hippodrome

სახლი წყნეთში
A House in Tskneti

ხომ ზუსტად ვიცით?!
We All Know...

#24

შემოდგომა

2007



სტილი

არქიტექტურა ინტერიერი დიზაინი

არქიტექტურულ-სამშენებლო კომპანია

სასკო



SASCO

WWW.SASCOGROUP.GE

ვაგა-ფშაველას 16
თბილისი 222

ტელ.: (995 32) 37-53-32

ტელ/ფაქსი: (995 32) 37-51-90

E-mail: info@sascogroup.ge



GEOEST group
Development Company



GEORGIA ♦ ESTONIAN JOINT COMPANY

Development Company GEOEST Group offers Estonian investment and experience in construction business. The company is composed of proficient staff with long experience. The goal of the company is to offer high quality, modern and customer oriented product at an acceptable price.



უფრო მეტი სანდოაქვთ, ბრუნ. A ქალის მკურნალობის უმჯობესი გზაა დასრულებული ჰემონტი ბრუნს უნდა - BCV

- უმაღლესი ხარისხის ბრუნს ხსნა
- თქვენი გულისთვის მნიშვნელოვანი სანდოაქვთ და ბრუნ
- თანამედროვე გრძელხანის რეცეპტული საშუალება
- BOSH-ის ცილის მკურნალობის, გასუფთავების, სანდოაქვთ და ბრუნს მკურნაობა
- რეცეპტული ბრუნს ბრუნს, ბრუნს, ბრუნს და ბრუნს მკურნაობა
- უმაღლესი ხარისხის მნიშვნელოვანი და უმაღლესი ხარისხის ბრუნს მკურნაობა
- სანდოაქვთ და სანდოაქვთ BOSH-ის ბრუნს უმაღლესი ხარისხის ბრუნს
- უმაღლესი ხარისხის ბრუნს მკურნაობა სანდოაქვთ ბრუნს
- ბრუნს და ბრუნს მკურნაობა სანდოაქვთ
- ბრუნს და ბრუნს მკურნაობა სანდოაქვთ
- ბრუნს და ბრუნს მკურნაობა სანდოაქვთ
- ბრუნს და ბრუნს მკურნაობა სანდოაქვთ
- ბრუნს და ბრუნს მკურნაობა სანდოაქვთ



უმჯობესი დასრულებული ჰემონტი
ბრუნს 2008 წლის უმაღლესი

www.bcv.ge



სტუდიოზიკლება დეტალებში



სარეკლამო კომპანია

სტილი

ბაზომაუალი - კომპანია **სტილი** და დიმიტრი მოსულიშვილი
ლინგვისტი - ეკა ჯავახიშვილი
ხელახალი - ნინო ლაგიძე
ინფორმაცია - ნინო ლაგიძე, ლალი ბახტაძე, ქეთევან ოდიშელი (სპეც.კორ. ბუჩინიდან)
ხანაზა - ალისა შომაკია, ქეთი მთსარიასვილი
თარგმანი - ნატა კურტანიძე
კომპიუტერული დიზაინი - თამაზ ჩხაიძე
დისაინი - გია ნოზაძე
ბაზომაუალის მენეჯერი - მიჩან მახგილცაშვილი

PUBLISHER - Company **STYLE & Dimitri Mosulishvili**
DIRECTOR - Eka Javakhishvili
EDITOR - Nino Lagidze
INFORMATION - Nino Lagidze, Lali Bakhtadze, Ketevan Odisheli (Special correspondent from Berlin)
ADVERTISING - Alisa Shomakhia, Keti Mtsariashvili
TRANSLATION - Nata Kurtanidze
COMPUTER GRAPHIC - Tamaz Chkhaidze
DESIGN - Gia Nozadze
SALE MANAGER - Mirian Margalitashvili

კომპანია "სტილი"
 0160 თბილისი, გამიჯვების ქ. N7, ბ.27
 ტელ/ფაქსი: 38-33-24.
 მობ: 877 44-86-00, 893 42-74-73

7 Gamrekeli Str., 0160 Tbilisi, Georgia.
 Tel/fax: (+995 32) 38-33-24.
 Mob: (+995 77) 44-86-00, (+995 93) 42-74-73

<http://www.archistyle.ge>
 E-mail: style_inbox@mail.ru
 inbox@archistyle.ge

სარეკლამო ტიპსტის შინაარსზე
 რედაქცია პასუხს არ აბეზს

გთავაზობთ:

- ◆ გარე რეკლამის დამზადება და განთავსება;
- ◆ ვიდეო რეკლამის დამზადება და განთავსება;
- ◆ პროექტირება, მშენებლობა, დიზაინი.



დაბეჭდილია სტამბაში "ომეგა თეგი"
 სანახოვანო, თბილისი, სარაჯიშვილის 17
 ტელაფონი: +995 32 53 03 62

PRINTED BY "OMEGA TEGI" PRINT HOUSE
 TBILISI, GEORGIA, 17 SARAJISHVILI STREET
 TELEPHONE +995 32 53 03 62



CAPAROL

ნომის სპონსორი
 შპს „კაპაროლ-ჯორჯია“

არქიტექტორებისა და დიზაინერების საყურადღებოდ!

აჩიკეცხეულ-დიზაინერული ფუნქციის "სტილი" ევლავ აბიძებს თქვენთან თანამშრომლობას.

გთხოვთ, მოგვანოდოთ თქვენს მიერ ხელისუბელი აჩიკეცხეულ-დიზაინერული პროექტები. მათ შორის საუკეთესოები განთავსებული იქნება ფუნქციის "სტილის" მომდევნო ნომერებში, ხისთვისაც წინასწარ გიხდით მადლობას.

ხელახლა იტოვებს უფლებას გაცნობით მასალის მომზადებისა და პუბლიკაციისათვის აუცილებელი პირობა - ფუნქციის გამოსაქვეყნებელი ობიექტი ნახმოდგენილი იქნას მისი ამსახველი ფოტო-მასალის მალაღმაცხევი სახისით - ავტომატურად უზენეველად ობიექტის პირობები ფოტოგადაღება.

 DELTALIGHT®



NEW LIGHT


სამშენებლო კომპანია

ნენთონი ჩანსი

პ. აგმაშenebeli ქუჩა, 12 კმ, თბილისი, 0102
ტელ: 59-65-96, 59-65-97. ფაქსი: 59-65-99

12 km, Agmashenebeli Alley
Tel: (995 32) 59-65-96, 59-65-97, Fax: (995 32) 59-65-99
E-mail: newlight.ge@yahoo.com www.newlight.ge


The light that makes difference



**ქალაქი
CITY**

თბილისის ახალი იპოდრომის
განაშენიანების გეგმა
New Tbilisi Hippodrome
Plan of development


8



**უხსოვიანი ახიბბეხი
FOREIGN ARCHITECTURE**

თანამედროვე ლიტვის
არქიტექტურა
Contemporary
Lithuanian Architecture

47




ესტეტიკური
კრიტიკები
Pab Restaurant -
Big Ben

97




სავაჭრო ცენტრი
„ქარვასლა“
Trade Center
Karvasla

10



„ეს ჩემი საუკეთესო
ნამუშევარია“
"The Best Thing
I've Ever Done"

54



ფუნქციონალიზმის
ესტეტიკა
Functionalism
at Its Best

102




საზოგადოებრივი სივრცის
ესტეტიკური განვითარება
Aesthetical Development
of Public Space

14




4+ არქიტექტორები
4+Architects

61




სტილი
ინტერიერში
Style Identification
Issues

107



მთაწმინდის პარკი
Mtatsminda Park:
A Magnificent Kingdom
Where Dreams Come True


18



**ტახილსია
TRADITION**

ტრადიციით დაღმუხტული
აწმყო
Modernity Saturated
with Tradition

68




საცხოვრებლის
ინტერიერი
Interior

109



ხომ ზუსტად ვიცით?!
We All Know...


24



**ინტერიერი
INTERIOR**


საცხოვრებლის
არქიტექტონიკა
Residential Space
Architectonics

72



ოფისი
Office Interior

110



**სახლი
HOUSE**


სახლი
A residential house

28



შემოქმედებითი
ძალის დასაბამი
A Driving Force
Behind the Art

77



ფორმათა სახეხვაობა
Diversity of Forms

114




ქალაქურის ასოციაციები
Urban Associations

30



ფუნქციური სივრცის
სილამაზე
Beauty Space
Functional

84




არქიტექტურული
სივრცის ორგანიზება

116




და არა მარტო...
Da ara marto...

34



ინტერიერის თანამედროვე
კლასიკური დიზაინი
Modern Classical design

86



საცხოვრებელი დუპლექსი
მანსარდაში
Residential
interior

119



სახლი წუნეთში
A House in Tskneti

38



მუდმივმოქმედი გამოფენა
არტ-კაფე „თან წაიღე“
Ongoing exhibition
in Art-cafe
"Tan Tsaighe"


89



**სახლი ახბები
NEWS**


საქართველო-ბრიტანეთის
ერთობლივი არქეოლოგიური
ექსპედიცია ფიჭვნარში
Joint Georgian-British
Archaeological Expedition
in Pichvnari

122




კლასიკის სიმბოლური ველი
Symbolical Dimension
of Classical Style

44



პროფესიონალიზმს
შემოქმედებითი შედეგი
განსაზღვრავს
Professionalism Level
as Defined by Result

94




**ვერსიაჟი
VERNISAGE**

შტრიხები
პორტრეტისათვის
Sculpture...
The art of imagining a form and
adapting it to the meaning, which
should define its character...

132

დინამიურად

განვითარებადი



ხის სახარმო 1991 წლიდან



- ექსკლუზიური ხარისხი;
- უახლესი ტექნიკური პანკა;
- მრავალფუნქციონიანი ანსველი;
- მრავალწლიანი სპეციალიზაცია;
- კომპლექსური პროექტირება და დამზადება;
- განუთავსებელი სპეციფიკური თანამშრომლობა;

რთავსორების კარი: ხის სახის შენაკობის
 შეპირული, განავრცობელი, მრავალფუნქციონიანი,
 თბილისი 26 სართლი ნარკოტი ...





... შეარჩიე შენთვის

WWW.ORBELIHOME.GE
 INFO@ORBELIHOME.GE

საქართველო
 თბილისი, 26 სართლი, ნარკოტი 26
 ტელ: 77 41 00, ფაქსი: 77 41 01

საქართველო
 თბილისი, 26 სართლი, ნარკოტი 26
 ტელ: 77 41 00, ფაქსი: 77 41 01

თბილისის ახალი იპოდრომის განაშენიანების გეგმა



თბილისის ახალი იპოდრომი იქნება კავკასიაში ერთ-ერთი უდიდესი და საქართველოში ერთადერთი უმაღლესი დონის კომპლექსი. თავისი პარამეტრების მიხედვით, ეს არის მრავალფუნქციური ინფრასტრუქტურა მთლიანი ფართობით – 32.8 ჰა, რომელიც მოიცავს სხვადასხვა თემატურ ზონას.

სპორტულ-დემონსტრაციული ზონა: მოიცავს 2500-ადგილიან ღია ტრიბუნას.

იპოდრომის ველი: გამოიყენება ცხენების გამოსაცდელად (ცხენების შეჯიბრებების ჩასატარებლად) და მოიცავს სარბენ ბილიკს 1600 მ. სიგრძით. ეს არის ევროპის იპოდრომებს შორის უნიკალური ველი, რომელზეც შეიძლება როგორც რბოლების, ასევე შეჯიბრებების ჩატარება.

სასწავლო-საგარეჯო ზონა: შედგება პრო-

ფესიონალური გაკვეთილებისთვის განკუთვნილი მანეჟისა და ცხენოსნობის სკოლისგან. ის აგრეთვე მოიცავს 1 000-ადგილიან დახურულ ტრიბუნას. აქვე არის განლაგებული კონკურის მოედანი ფართობით 60X40 მ-ზე.

სამეურნეო ზონა: გამოიყენება ცხენსაშენებისა და ცხენების კერძო მფლობელთათვის. მასში შედის 6 სრულად აღჭურვილი თავლა, სპეციალური კლინიკა ცხენების მიღების პუნქტი, საშხაპეები (დაცვისათვის განკუთვნილი სათავსოებით, სახანძრო აღჭურვილობის შესანახი სათავსოებით, ინვენტარის შესანახი სათავსოებით, შვრიისა და თივის საწყობით).

სპეცნაგებობები: ავტოსადგომი, სამჭედლო, სარწყავი სისტემები.

გასართობ-სათამაშო ზონა: მაცურებლის-

ვის წარმოადგენს რესტორნების, კაფეების, ბარებისა და ტოტალიზატორების დაქსაქსულ კომპლექსს, რომლის შემოსავლებიც იპოდრომის საქმიანობასა და რესპუბლიკის ცხენოსნობის დარგის განვითარებას მოხმარდება.

პერსპექტივაში იგეგმება დამატებითი თავლებისა და 40-ნომრიანი სასტუმროს აშენება.

წარმოდგენილი ინფრასტრუქტურა იქნება უმაღლესი სტანდარტების შესაბამისი და საცხენოსნო სპორტის პროფესიონალებისა და მოყვარულების საზოგადოებას მისცემს საყვარელი საქმიანობით დაკავების საშუალებას უკვე გაუმჯობესებულ პირობებში.

ეს არის ოდითგანვე ქართული სპორტის სახეობისა და დარგის აღორძინების ახალი ეტაპი.



New Tbilisi Hippodrome Plan of development



Tbilisi hippodrome will be one of the biggest ones in Caucasus region and the only highest class complex in Tbilisi.

Via its parameters – it's multifunctional infrastructure, with total area of 32.8 hectares, which embodies different thematic zones.

Sporting-demonstrative zone: includes 2500-place open stand tribune.

Hippodrome field: is used for horse testing (used for races) and includes race track which is 1600 meters long. It is a unique valley compared to the Europe's

hippodromes, which can be used for races, as well as for competitions.

Training-learning zone: consists of manege used for professional learning of equestrianism and equestrian school, it also embodies closed tribune with 1 000 places. Nearby is placed the riding field.

Household zone: is used for private equestrians and equestrianism. It includes 6 fully equipped stables, veterinary clinic, with horse receipt point showers (room for security, fire system, premises for outfits, barns for oats and hay).

Special premises: parking, forge, irrigation systems.

Entertainment-playing zone: it is restaurants, cafes, bars and totalizers' complex web, income from those businesses will be used for hippodrome's activities and republic's equestrianism development. In future we are planning to build additional stables and a 40 room hotel. Represented infrastructure will be of the highest standards and will give the ability to the equestrian sport lovers and professionals to engage in their favorite hobby in better conditions. This is the new stage for renaissance of the field and Georgian sport type.



სავაჭრო ცენტრი „ქარვასლა“

კორპორაცია "ჩემი სახლი და კომპანია" არსი, ქალაქ თბილისში, რკინიგზის სადგურიდან 140 მეტრში, ცოტნე დადიანის №7-ში აშენებენ თანამედროვე სავაჭრო ცენტრს „ქარვასლა“.

სავაჭრო ცენტრი „ქარვასლა“ მოიცავს 6 სართულს, სადაც განთავსდება 400 სავაჭრო ობიექტი: მაღაზიები, ჰიპერმარკეტი, სილამაზის სალონები, ბავშვთა ოთახები, კაფეები, რესტორნები. თითოეულ მათგანში დამონტაჟდება ინდივიდუალური გათბობისა და კონ-

დიცირების სისტემები, ელექტროგაყვანილობის დგარები და ინდივიდუალური მრიცხველები.

სართულების დაკავშირება მოხდება უახლესი ტიპის ესკალატორებით.

ქარვასლის მიწისქვეშა ავტოსადგომი განსაზღვრულია 300 მანქანაზე.

ფართი გადადის მყიდველის საკუთრებაში და ჩაბარების კონდიციაა სრული რემონტი. სავაჭრო ცენტრის მშენებლობა სრული რემონტით დამთავრდება 2009 წლის მაისში.





Trade Center Karvasla



Corporation Chemi Sakhli and construction company Arci are building a modern trade center Karvasla to be located in no 7 Tsothe Dadiani Street, at about 140 meters' distance from the Central Railway Station.

The Trade Center will comprise 6 levels, housing a total of 400 commercial units: shops, hypermarkets, beauty salons, children's rooms, cafes, restaurants, etc. Each unit will be equipped with individual heating, air conditioning and power supply systems. Trade Center levels will be interconnected by hi-tech escalators; there will be a dedicated underground parking lot with the capacity of 300 vehicles.

Trade Center will be launched in May 2009.



საქართველოს არქიტექტურა



საქართველო

2007

საქართველოს არქიტექტურის განვითარების
საქართველოს არქიტექტურის განვითარების
და განვითარების.

საქართველოს არქიტექტურის განვითარების
"საქართველოს არქიტექტურის განვითარების 2007" პროექტის
და საქართველოს არქიტექტურის განვითარების
განვითარების პროექტის
განვითარების პროექტის

www.archistyle.ge



საერთოფოტოგრაფია



www.artx.ge

ჩვენი განწყობა, ჩვენი ინტერიერი

თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 237. ტელ: 25-00-65



საზოგადოებრივი სივრცის ესთეტიკური განვითარება დავით აღმაშენებლის გამზირი

თბილისის მერიის რეკომენდაციით (2001 წ. ოქტომბერი) არასამთავრობო ორგანიზაცია – “საზოგადოებრივი სივრცის დაგეგმარებისა და განვითარების ცენტრი”, ნატო ფირცხალავას ხელმძღვანელობით, შემუშავდა რუსთაველის გამზირის როგორც ძველი კომპლექსის რეკონსტრუქციისა და კეთილმოწყობის ერთიანი ესკიზური პროექტი (სახელოვნებათმცოდნეო შესწავლისა და ლაბორატორიული კვლევის შედეგებზე დაყრდნობით).

მოგიდგენთ ამ შენობათა რესტავრაციის პროცესის ამსახველ ფოტო-მასალას და შემოქმედებითად გააზრებულ, დეტალურად დამუშავებულ არქიტექტურულ ნახაზებს.

თბილისის მერიის თაოსნობით დაწყებული პროექტი გრძელდება. მისი მიზანია, ტრადიციულად ჩამოყალიბებული არქიტექტურისა და ურბანული ფორმების გათვალისწინებით, ჩვენი ქალაქის საზოგადოებრივი სივრცის ესთეტიკური განვითარების ხელშეწყობა.

ნათესების ესკიზური პროექტი; შენობათა პირველი სართულების კეთილმოწყობის ესკიზური პროექტი და ამ ტერიტორიაზე განთავსებული სკვერების კეთილმოწყობის პროექტები.

პროექტი, მთლიანობაში ეფუძნება საარქივო საფონდო მასალას.

შესაძლებლობა გვეძლევა წარმოგიდგინოთ ძველი თბილისის, აღნიშნული მონაკვეთის, ამსახველი ფოტოები, პროექტის ფრაგმენტები და მეტად საინტერესო ინფორმაცია, რომელიც ციტირებულია აქ-




სთაველის პროსპექტზე მდებარე სამი სახლის (№№ 24, 26, 28) ფასადის რეკონსტრუქცია-რესტავრაციისა და დიზაინ-გაფორმების სამუშაო პროექტი. ყველა დანარჩენი საპროექტო სამუშაოები რუსთაველის გამზირზე, ხორციელდება მუნიციპალური ორგანიზაცია “ძველი თბილისის რეაბილიტაციის ფონდის” მიერ.


“სტილის” ერთ-ერთ ადრეულ ნომერში განხილულ იქნა “საზოგადოებრივი სივრცის დაგეგმარებისა და განვითარების ცენტრის” მიერ შემუშავებული პროექტის ესკიზური ნაწილი. ამჟამად წარ-

დავით აღმაშენებლის გამზირისა და მოედნის საზოგადოებრივი სივრცის დიზაინის ესკიზური პროექტი (პირველი ეტაპი), კვლავ „თბილისის საზოგადოებრივი სივრცის დაგეგმარებისა და განვითარების ცენტრი“ შედგა (ხელმძღვანელი ნატო ფირცხალავა). იგი ითვალისწინებს არქიტექტურულ-სამშენებლო სამუშაოების ჩატარებას დავით აღმაშენებლის გამზირის მონაკვეთზე, მარჯანიშვილის მოედნიდან გიორგი ტოვსტონოგოვის ქუჩამდე. მის ფარგლებში შემუშავებულ იქნა - ლანდშაფტური დიზაინის ესკიზური პროექტი; ურბანული ავეჯის გა-

ადემიკოს ვახტანგ ბერიძისა და გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის სამეცნიერო ცენტრის მთავარი სპეციალისტის მაია მანიას, თბილისის ხუროთმოძღვრებისადმი მიძღვნილი ნაშრომებიდან.

XIX საუკუნის დასაწყისში და შემდგომად საქართველოში გერმანელმა კოლონისტებმა რამოდენიმე დასახლება დააარსეს, რომელთა შორის, ორი თბილისში იყო. ერთი მათგანი, ე.წ. „თბილისის კოლონია“ (Tiflisser Kolonie) კუკის მიწაზე დაარსდა, რაც დღევანდელ, დავით აღმაშენებლის გამზირს და მის





რუსთაველის გამზირი. RUSTAVELI AVENUE

მიმდებარე უზნებს ემთხვევა. დავით აღმაშენებლის გამზირის წინაპარ მიხეილის ქუჩას (1899 წლიდან გამზირს) ორსავე მხარეს, გერმანელმა კოლონისტებმა, მცირე ზომის საცხოვრებელი სახლები, ხეხილის ბაღები და ვენახები გააშენეს. ამ ნარგავების მართხუთხა მოყვანილობამ, მოგვიანებით, როგორც ცნობილია, დღევანდელი დავით აღმაშენებლის გამზირისა და მისი მიმდებარე კვარტლების რეგულარული ხასიათი განსაზღვრა, რასაც დიდად შეუწყობდა ხელი, ძველი კუჩის ვაკე რელიეფმაც. გერმანელების გაშენებული იყო, აგრეთვე რამდენიმე საზოგადოებრივი ბაღი მიხეილის ქუჩის გასწვრივ. ყოფილი „თბილისის კოლონიის“ შემადგენელ ქუჩათა ქსელში, თვალი, დღესაც იოლად გამოარჩევს გერმანელი კოლონისტების ადრეულ ერთსართულიან



ებ რუკას.

დავით აღმაშენებლის გამზირზე, მარჯანიშვილის მოედანსა და გ. ტოცვტონოგოვის ქუჩას შორის მოქცეულ მონაკვეთზე განლაგებულ სარეაბილიტაციო შენობათაგან, რამდენიმე დღესაც ინარჩუნებს ისტორიულ მნიშვნელობას - თუნდაც, ლეოპოლდ ბილფელდის პროექტით შესრულებული ფრიდრიხ ვეტცელის მემკვიდრეთა სასტუმრო. მისი თავისებურება ისაა, რომ იგი თვატრსაც შეიცავდა. სამეცხლეულიანი მანსარდით დახურული სამსართულიანი ნაგებობის არქიტექტურული მორთულობა გერმანული ბაროკოს ტრადიციას მისდევს. მაღალმახტვერულობით გამოირჩეული შენობის გარეგნულ სახეს მრავალი ნაქერნი ფორმა ქმნის (მათ შორის უჩვეულო კაპიტელები და სადა რუსტიკა). ნაგებობ-

ციას მისდევს შტერნისეული დავით აღმაშენებლის №117-ში მდებარე, 1894 წელს აგებული საცხოვრებელი სახლიც. მისი გამზირისპირა ფასადის არქიტექტურულ მორთულობას ევროპული არქიტექტურის საერთო რეპერტუარიდან ამოკრეფილი ელემენტები შეადგენს.

ყურადღებას იპყრობს დავით აღმაშენებლის №91 ში მდებარე საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული მორთულობა (დეკორატიული ფრიზი, შეკიდული რკინის აივნის აუქურული მოაჯირი, კონსოლები და სხვა), რომლის პროექტიც პ. შტერნმა 1892 წელს შეადგინა.

საპარკო არქიტექტურის საგულისხმო ნიმუშია, ამჟამად, თუმცა სანახევროდ შემოძარცვული ე.წ. არტოს ბაღი. მისი სასწრაფო განახლება აუცილებ-



სახლებს - გერმანული გავლენის მაუწყებელი მაღალი, ვიწრო სამკუთხაფრონტონიანი ფასადებით, ზოგჯერ კი კედელთა ფხავერკული წყობითაც. ასეთი სახლების, კვარტალთა სიღრმეში განვითარებული ვიწრო, ნაგრძელებული ფორმის ეზოები გერმანელი კოლონისტების დროინდელი ბაღების ფრაგმენტებს ინახავს.

„თბილისის კოლონიაში“ დასახლებულან და აქვე აუგიათ საკუთარი საცხოვრებელი სახლები არქიტექტორებს - ალბერტ ზალცმანს, ლეოპოლდ ბილფელდს, პაულ შტერნს, ინჟინერ-მშენებელს იოს-

ის მთავარ შესასვლელს ჩაფხუტიანი ფრთოსანი ჰერმესი-ატლანტები მონიშნავს..

საგულისხმოა თვით პაულ შტერნის საკუთარი სახლი, რომელიც 1893 წელს არის აგებული (დავით აღმაშენებლის გამზ. №128). არქიტექტორმა ამ შემთხვევაში თბილისური საცხოვრებლის ტრადიცია გააგრძელა. ფასადის ისლამური და ევროპული ელემენტები ეზოს მხრიდან მონყობილ ტრადიციულ, ხის ჭვირულმოაჯირიან გადახურულ აივნებთან არის გაერთიანებული.

სივრცითი ორგანიზაციის თბილისურ ტრადი-

ლია, რადგან ბაღი ერთადერთი მწვანე მასივია გამზირის მჭიდროდ დასახლებულ ამ, მონაკვეთზე.

სარეაბილიტაციო უზანი, საინჟინრო-ხუროთმოძღვრული გადანყვეტის მხრივ, სხვა რამოდენიმე საგულისხმო ნიმუშსაც მოიცავს. მათი განახლება, თუნდაც პირველი სართულის დონეზე (არსებული არქიტექტურული ფონის გათვალისწინებით სავიტრინე ჩარჩოების, სარეკლამო აბრების, ღამის განათების და სხვ. დიზაინის გადანყვეტა) შედარებით ახლებურად წარმოგვიჩენს ჩვენი ქალაქის ამ უძველეს გამზირს.



Aesthetical Development of Public Space

DAVID AGMASHENEBELI AVENUE



In October 2006 Tbilisi Municipality issued a decree on reconstruction of Rustaveli Avenue as a part of the historical zone of the city.

The project was developed by Tbilisi Public Space Development Center, under direct supervision of its manager Nato Pirtskhalava. The action is well underway; full restoration of three buildings – no. 24, 26 and 28 in Rustaveli Avenue has been launched on the basis of preliminary studies and laboratory research. In one of the recent STYLE issues we dedicated an article to the above project; now we already have an opportunity to visualize for you the restoration process – an immense creative effort, efficiency of which does not need any further explanation.

The project started by Tbilisi Municipality is gradually expanding. It aims at supporting aesthetic development of city public space, incorporating local architectural traditions and historically developed urban forms.

As a first stage of this sequential project, Tbilisi Public Space Development Center (managed by Nato Pirtskhalava) developed a spatial design plan for Agmashenebeli Avenue. The plan implies architectural and construction activities in the section of the avenue from Marjanishvili Square to its crossing with Tovstonogov Street, including landscape design, positioning of urban accessories, refurbishing of ground-level facades and squares. While planning spatial design of the area, the Center based its work on research of existing archive materials. On these pages you will find photos of the target district, project sketches and interesting information on Tbilisi architecture,

provided to us by academician Vakhtang Beridze and Maia Mania, chief expert of Vakhtang Chubinashvili Scientific Center of Georgian Art History and Heritage Conservation.

Since 1817, German colonists founded several settlements in Georgia (including two in Tbilisi). One of these, the so-called Tiflisser Kolonie, was established in a place called Kukia, which covers present-day David Agmashenebeli Avenue and adjacent districts. To the both sides of Mikheil Street (the “ancestor” of David Agmashenebeli Avenue) German colonists built small residential houses, planted orchards and vineyards. Rectangular shapes of these plantings as well as the relief of old Kukia district influenced the configuration of David Agmashenebeli Avenue and the neighboring quarters later on. The Germans also founded several public gardens along Mikheil Street. In the streets, belonging to the former Tiflisser Kolonie, one can still easily find old one-storey houses with slim facades and, sometimes, specifically decorated walls, built by German colonists. Narrow, oblong courtyards of such houses still retain the traces of orchards, planted by German settlers.

Population of Tiflisser Kolonie included several architects, who had designed their own houses – Albert Salzman, Leopold Bielfeld, Paul Stern, civil engineer Joseph Ruks.


Some of Agmashenebeli Avenue buildings intended for reconstruction still retain certain historical value – e.g. the hotel of Friedrich Wetzel family, designed by Leopold Bielfeld, special in that the building also housed a theatre. The three-level construction with a

mansard on top follows the traditions of German baroque style. Building façade is amply decorated with sculptural forms, including original column caps and rustic ornaments. The main entrance is guarded by winged atlantes.

Another building to note is Paul Stern’s house, built in 1893 (present-day no. 128, David Agmashenebeli Avenue). Here the architect followed local traditions of residential architecture: Islamic and European elements of façade decoration are combined with roofed balconies, opening onto the courtyard. Tbilisi tradition of space organization is preserved in still another house, located in no. 117 David Agmashenebeli Avenue and built by Paul Stern in 1894; design of its façade, facing the avenue, represents a mixture of typically European decorative elements. In 1892, Paul Stern designed a house in no 91 David Agmashenebeli Avenue – special feature of this building is its façade with a decorative frieze, balconies with laced banisters, consoles, etc.

Among the more important samples of green landscaping in David Agmashenebeli Avenue we can mention the so-called Arto Garden. Unfortunately, this place urgently requires redecoration, because this is the only green zone in the densely populated area.

Generally speaking, the restoration zone contains numerous buildings, interesting from the architectural point of view. Rehabilitation of their ground-level facades (e.g. refurbishing of display window frames, signboards, outdoor lighting and other decorative details to match the existing architectural background) will give a new look to this old avenue.





ლემონსი


ბაზენორგანიზაციული პროექტები



თბილისი, ჯიბა N118A



თბილისი, ჯიბა N67



თბილისი, ჯიბა N118A

ახალი პროექტები



ქუთაისის რაიონის მუნიციპალიტეტი



ქუთაისის რაიონის მუნიციპალიტეტი



ქუთაისის რაიონის მუნიციპალიტეტი

სარეკლამო-ინჟინერული

თბილისი, ჯიბა N118A ტელ: +995 32 96 00 64; მობ: 999 63 00 11

მთაწმინდის პარკი



XIX საუკუნის პირველ ნახევარში, ძველი თბილისის საზღვრები გაფართოვდა და გოლოვინის პროსპექტზე “ევროპული თბილისის” მშენებლობა დაიწყო. ამ პერიოდშივე გადაწყდა ყველაზე “ვერანი და უდაბური ადგილის”- მთაწმინდის პლატოს ათვისებაც.

დიდი გეგმების განსახორციელებლად ჯერ გზის გაყვანა იყო საჭირო, გზის გასაყვანად - ფუნქიულიორის აშენება, ამიტომ, ქალაქის თვითმმართველობამ ახალი საუკუნის დასაწყისში - 1900 წელს ბელგიელ ინჟინერს ალფონს რობის იმ დროისათვის წარმოდგენილი პროექტის განხორციელების ნება დართო.

მშენებლობა მთის ძირიდან უნდა დაწყებულიყო. ბელგიელ, იტალიელ, ფრანგ ინჟინრებს და სპე-


ციალისტებს უმოკლეს დროში უნდა დაესრულებინათ საუკუნის პროექტი და წარმატების შემთხვევაში, მთაწმინდასა და კოჯორს შორის ელექტრონული რკინიგზაც უნდა გაეყვანათ. სხვათა შორის, ამ მეორე, გრანდიოზული გეგმის შესასრულებლად თანხაც გამოიყო, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო ვერ განხორციელდა.

ფუნქიულიორის მშენებლობა XX საუკუნის დასაწყისისთვის კოლოსალური თანხა 400 000 მანეთი დაჯდა. როგორ გამოინახა ამდენი ოქროს თუმანიანი ქალაქში, სადაც ჯერ მხოლოდ კონკა დადიოდა, უცნობია. პირველი ვაგონები 50 კაცს იტევდა და ასვლა-ჩამოსვლას 6-6 წუთს ანდომებდა. ფასიც შესაბამისი იყო - 20 კაპიკი. თავიდან ხალხს ბაგირის განყვეტის ეშინოდა და ვაგონში არ სხდე-

ბოდა. თბილისელები ფაეტონებით ამოჰყავდათ და ფულს აძლევდნენ – “ნუ გეშინიათ, ჩასხედით”-ო.

პირველ კომერციულ მგზავრებამდე კი, 1904 წ. 5 მარტს, დილის 10 საათზე მთაწმინდის ქვედა სადგურზე, შვეიცარიიდან ჩამოტანილ ვაგონებში ქალაქის ხელმძღვანელობა, ჟურნალისტები და საპატიო სტუმრები ჩასხდნენ. მამა დავითის ეკლესიის მღვდელმა გასავლელი გზა და ვაგონები აკურთხა, ქალაქის თავმა ცისფერი ლენტე გაჭრა და გზა გასხნილად გამოაცხადა. ზედა სადგურში ასულ სტუმრებს მუსიკით და გაშლილი სუფრით ხვდებოდნენ. საბანკეტო დარბაზში ფრანგულ შამპანურს სსნიდნენ...

ხელშეკრულების თანახმად, ბელგიის ანონიმურ საზოგადოებას ფუნქიულიორი ქალაქისათვის 45 წე-



ლინადში უსასყიდლოდ უნდა გადაეცა, თუმცა თბილისის ეს უცვლელი სიმბოლო ბევრად უფრო ადრე გადავიდა დედაქალაქის მფლობელობაში. საქართველოში წითლები შემოვიდნენ...

გადიოდა წლები და მთის პლატოზე გაყვანილ ფუნიკულორის გზას მხოლოდ ზედა სადგურის შენობასთან, ე.წ. "როტონდა"-სთან და მხოლოდ რამდენიმე დუქანთან მიჰყავდა...

დიდი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მშრომლებმა 1934 წელს ახალი ხუთნაირის გეგმა დასახეს და მთაწმინდის პლატოზე 12.5 ჰა. ფართის ტერიტორიის გამწვანება ითავეს.

1938 წლის 24 ივლისს საბჭოთა საქართველოს დედაქალაქში მშრომლებისთვის ი.ბ. სტალინის სახელობის მთაწმინდის დასასვენებელი პარკი გაიხსნა. იმ დღეს 150 000-ზე მეტმა თბილისელმა ინახულა ფუნიკულორი, მოზღვავებულ დამსვენებლებს 22 სალარო ემსახურებოდა. მას შემდეგ, მთაწმინდის პარკს ყოველწლიურად მილიონი მწახველი სტუმრობდა.

ფუნიკულორის გახსნიდან ზუსტად 100 წლის შემდეგ, თბილისის მერიაში კვლავ დადგა მთაწმინდის პარკისა და ფერდობის ათვისების საკითხი. გრანდიოზული პროექტის განხორციელების უფლება ახლა უკვე შპს "ლინქსმა" და ბრიტანულმა კომპანია "დეიტო ინტერნეიშალმა" კონკურსის წესით მოიპოვეს და XXI საუკუნისათვის კვლავ კოლოსალური თანხის 60 000 000 ლარის ჩადებაც განიზრახეს.

მთაწმინდის პარკის პროექტის ავტორია არქიტექტორი მამუკა ზვიადაძე. მსატვარი - მურაზ მურვანიძე. საზოგადოებრივი ობიექტების ინტერიერები განხორციელდა დიზაინერების ნია მგალობლიშვილის, ია ლიპარტიანიის და სოფო შევარდნაძის პროექტების მიხედვით.

ფუნიკულორისა და მთაწმინდის პარკის ისტორია თითქოს ისევ მეორდება... ფერდობზე ლიანდაგების და სავალი გზის მოწყობაზე კვლავ უცხოელი სპეციალისტები ზრუნავენ და ისევ ისეთ ვაგონებს ამონტაჟებენ ჭონქაძის ქუჩიდან ზედა სადგურზე 50 მგზავრს უკვე 4 წუთში რომ აიყვანს. მგზავრობის ფასიც შესაბამისად 50 თეთრი ელირება. სამუშაოები პარკში დიდი ძალისხმევით მიმდინარეობს. მისი მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე დასრულებულია. ძალიან მალე პარკი მთელი თავისი ბრწყინვალეობით წარუდგება მწახველს. 60 ჰა-ზე გაშენებულ, მოდერნიზებულ და მსოფლიოში საამაყო პარკს ყოველწლიურად ისევ მილიონობით სტუმარი ესტუმრება. პარკის ტერიტორიაზე ისევ უფასოდ შეხვალთ, ისევ იქნება სატელევიზიო ანძა; ახალი, მაგრამ ჩვენთვის ჩვეული "ეშმაკის ბორბალი", ამფითეატრი და რადიოსადგური.

თუ პარკის შესასვლელში მწვანეთვალეობა, ტიტლიკანა დევის შვილს დაინახავთ პატარა რქებით, კახური ქუდითა და დაუდევრად შეკრული საცლოით, დასახმარებლად დაცვას ნუ მიმართავთ - ეს ბომბორაა, მთაწმინდის პარკის სიმბოლო. მის ლიმილიან სახეს იხილავთ იმ სპეციალურ ბარათებზეც, რომლის შეძენაც პარკში და თბილისის სხვა ადგილე-





ბშიც შეგეძლება. ნურც სალაროების ძებნას დაინწყებთ. ამ ბარათებზე დარიცხული თანხით ნებისმიერი ატრაქციონით შეგიძლიათ ისიამოვნოთ. ამხელა ტერიტორიაზე გზის გაკვლევა რომ არ გაგიჭირდეთ სპეციალური რუქებით იხელმძღვანელეთ. იქ დახატული გზები პარკის სამ სხვადასხვა ზონამდე მიგიყვანთ - ბავშვების, ოჯახის და ექსტრემალური. სამივე აღნიშნულ ზონაში, სხვადასხვა სახის - განსხვავებული სირთულისა და კონსტრუქციის, მაგ: Drop towers, Merry-go-round, Ejection seats, Mini flies, Scary Wheel ა.შ. ატრაქციონები დაგვდებათ.

თუ ისარს გასართობ მოედნამდე არ მიჰყავხართ, ნურც მაშინ შეგეშინდებათ. თქვენ შესაძლოა მთანმინდის პარკის ორანჟერეაში მოხვდეთ, რომელიც სპეციალური დაკვეთით ჰოლანდიიდან ჩამოიტანეს. თვალში უამრავი, განსხვავებული ვარდი მოგვხვდება - არ გაგიკვირდეთ, აქ რევოლუციისთვის არ ემზადებიან – თქვენ როზარიუმში მოხვდით. იტალიურ პარტერში მსოფლიოს ყველაზე სურნელოვანი ყვავილების ექსპოზიცია მოეწყობა. ფლორის კეთილსურნელებით გაბრუებულებმა, დრო უქმად არ დაკარგოთ, გვერდით, წყნარი მუსიკით და ყავის განუმეორებელი არომატით, ელიტური კაფე გელით.

თქვენი ბავშვები თუ “კალთას ჩამოგაგლეჯენ”, ჩვენს ზონაში გაგვატარო, გულს ნუ გაიტეხთ, იქაც საინტერესო სანახაობა გელით. ქართული და უცხოური ზღაპრებისა და მულტფილმების პერსონაჟებით დატვირთულ ბილიკებთან თქვენი პატარისათვის სასურველ ატრაქციონს აუცილებლად იპოვნით. თავბრუდახვეულებს კი “თოლისა” ფერად-ფერადი ნაყინის ბურთები და ლონდონიდან ჩამოტანილი ტკბილეულობის მაღაზიაში არჩეული კანფეტები “მოასულიერებენ”. თუ ბევრი ტკბილეული თქვენი პატარისათვის კარიესის საფრთხეს შექმნის, მაშინ უკრაინელი სპეციალისტების მიერ აწყობილი “სწრაფი კვების” სისტემით ისარგებლეთ, სადაც ბუტერბროდებთან ერთად, ქართულ საჭმელებსაც შემოგთავაზებენ.





ყველაზე ამტანებისა და უშიშრებისათვის განკუთვნილ ადგილზე – ექსტრემალურ ზონაში მძაფრი შეგრძნებების მოყვარულთ ნამდვილად გაუმართლებთ. სათქმელად ისიც კმარა, რომ ატრაქციონი “ლავა”, რომელიც თბილისიდანაც გამოჩნდება, რადგან 60 მეტრი სიმაღლის იქნება, თავისი უნიკალური ფორმით მალე “გინესის რეკორდების” წიგნში შე-

ვა. ყველა ატრაქციონი გერმანული კომპანია TUV-ის მიერ არის შემოწმებული და საერთაშორისო სტანდარტებს აკმაყოფილებს. თუ ამ ინფორმაციამ თქვენს შეგრძნებებს სიმძაფრე დაუკარგა, პარკის მეორე ნაწილშიც გაისეირნეთ, სადაც გალიების გარეშე დარჩენილ ყბადაღებულ ნიანგებს და ფაფარაშლილ ლომებს მატარებლით ჩაუვლით. სამომავლოდ, მთანში-

ნდის პარკში “საფარი პარკი” გაშენდება.

ემოციებით დატვირთულებს, ალბათ სახლში დაბრუნების სურვილი გვიან საღამოს გაგიჩნდებათ. წამოსვლამდე ჩვენი ერთი რჩევა გაითვალისწინეთ: აუცილებლად გადმოსხედეთ თბილისის მთანშინდიდან და კიდევ ერთხელ დარწმუნდით, რომ ჩვენს სამშობლოს ქვეყანაზე სამშობლო არ სჯობია...



Mtatsminda Park: A Magnificent Kingdom Where Dreams Come True



In the beginning of the second half of the 19th century, as the residents of Tbilisi started to show an interest in Mtatsminda's upper plateau – especially during the hot days of summer – a group of Tbilisi entrepreneurs came up with an idea for turning this spot into a suburban leisure center. The project for the construction of a funicular was discussed and approved in March of 1901.

Although this funicular operated for many years, the chaos and difficult economic conditions which beset Georgia after the fall of the Soviet Union allowed the Mtatsminda tram to fall into a state of disrepair. Accordingly, the vivacious life of the Mtatsminda Culture and Recreation Park – the place where city residents could go to spend a good time and have a rest – was suspended. However, eternally optimistic Kids Today has not lost hope that the funicular and the Mamadaviti Plateau Park will someday become one of the best sights in Tbilisi for the city's residents and guests.

It has once again been decided to try to turn the upper Mtatsminda area into a place where everyone is happy and cheerful – a place where the population of Tbilisi, the residents of different regions of Georgia and tourists from the wide world over will be able to satisfy all of their needs, feel exceedingly comfortable and make their dreams come true...

Georgian magnate Badri Patarkatsishvili has also long-supported this idea and finally decided that the time was right to realize the plan that would help turn Tbilisi into a city which would once again be charming and winsome for its habitants and attractive for tourists.

The prime company that is building this park is the "Leisure Development Group." This company will create a Georgian national brand, which is very important, and extra items have been envisioned which will turn Mtatsminda Park into one of the best places in the city.

This project autor is architect Mamuka Zviadadze, Artist - Muraz Murvanidze. This residential interiors designed by Nia Mgaloblishvili, la Liparteliani, Sophio Shevardnadze.

The famous Georgian cartoon hero "Bombora" (the big little shy boy who wants to learn) was chosen as the host of the park.

Mtatsminda Park should be the biggest entertainment park in the Caucasus and it should satisfy the needs of entertainment-seekers of all ages. In other countries, such kinds of parks are placed on lowlands. Mtatsminda Park, however, is situated in a mountainous area above the heart of the city and it should be quite accessible and easy to reach. The territory of Mtatsminda is the best ecological place for this kind of park.

Admission to the park will be free and a special card system will be introduced to pay for the rides. Guests will be able to buy these cards in the park itself, as well as at different sales points across Tbilisi. It has been promised that the prices for the rides will be reasonable and available for everyone.

Mtatsminda Park is divided into three main parts: the "Kid's Zone," the "Family Zone" and the "Extreme Zone." In each of these zones, guests will be able to find different types of rides including "Drop Towers," "Merry-Go-Rounds," "Ejection Seats," "Mini Flies," "Bumper Cars" and more.

Another special feature of the park will be the "Lava" roller coaster, which at 60 meters, will be the largest of it's type in the world.

To ensure high security standards, all the rides will be inspected by TUV (an international organization that aims to protect humans and the environment against hazards coming from factories and mechanisms of all kinds). According to a sociological study, the park can expect to receive between 1.5 and 2 millions guests yearly. The opening of one part of the park is planned soon. The Leisure Development Group is planning the reconstruction of the funicular and the cable car.

Mtatsminda park project consultant Mr. John Ellis extended his hospitality to Kids Today. He told us many interesting things about the project. For instance, most of the attractions are transported from Italy.



- **თავანობა-მუხარონ ფილანი**
- **პროექტირება და ატანუნარება**
- **ფიტინაჟი**
- **გამთვარება**
- **თავითონიპალირებააღმ დასასახლალი ინტალირები**


ხომ ზუსტად ვიცით?!

ის, რომ არქიტექტურა ხელოვნების სხვა დარგებთან შედარებით ყველაზე თვალნათლივ ასახავს დროს, ეპოქას, გაბატონებულ წყობას, იდეოლოგიას, ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ ვითარებას, კულტურულ-ინტელექტუალურ მდგომარეობას, ეს თითქოს ყველამ დიდი ხანია ვიცით.

ის, რომ კაცობრიობის ისტორიის მანძილზე უამრავი, სრულიად განსხვავებული, ერთი-მეორეზე თვითმყოფადი არქიტექტურული სტილები – რომანტიკული, გოთიკური, კლასიკური, კოლონიალური, მავრიტანული, იმპერიული და ა.შ. (რომელი ერთი ჩამოვთვალო?) არსებობდა და რომ თითოეულმა მათგანმა გამოკვეთილი ინდივიდუალიზმითა და მკვეთრად დამახასიათებელი ნიშან-თვისებით კონკრეტული დროის, ისტორიული მონაკვეთის, აღმავლობისა და დაღმავლობის ზუსტი ამსახველი ნიმუშები დაგვიტოვა – ესეც ვიცოდით.

რატომღაც, რომელიღაცა ანიმაციური ფილმიდან ისიც ვიცოდით, რომ სოფლის შენებას, მხოლოდ და მხოლოდ ერთი კარგი სიმღერა უნდოდა და მეტი არაფერი. თუმცა, რეალურად გაირკვა, რომ თუნდაც ძალიან კარგ სიმღერაზე ბევრად უფრო მეტად, ზოგადი უფლება, ნებართვაა საჭირო და მშენებლობებიც გაჩაღდება. სწორედ ამაში დაგვარწმუნა დღეს აჭარაში (რეგიონში, რომელშიც რამდენიმე წლის წინ, ფაქტობრივად არაფერი შეიძლება, დღეს კი ყველაფერი შეიძლება) მიმდინარე მშენებლობების ნამდვილმა ბუმმა. ის, თუ რას, როგორ მმართველობას, როგორ იდეოლოგიას, როგორ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ მდგომარეობას ასახავს ეს ბუმი, ჩვენი დროის შესახებ, როგორ წარმოადგენას, სურათს დაუტოვებს მომავალ თაობებს, თუ დღეს ნაჩქარევად, გაუზარებლად აშენებულის დიდი ნაწილი მათი დასანგრევი იქნება - ნამდვილად, ან არ ვიცით, ან ვიცით და არ ვუფიქრებთ.

ქაოტურმა, უსისტემო, არაპროფესიონალურმა, უგემოვნო, მხოლოდ კომერციული კრიტერიუმების დამაკმაყოფილებელმა, ერთპიროვნულად მეპა-



ტრონის გემოვნებასა და ინტერესებზე დამყარებულმა, გროტესკული მშენებლობების რიცხვმა საგანგაშოდ იმატა და ერთეული შემთხვევების გამოკლებით, სრულ უმეტესობას წარმოადგენს.

როგორ შეიძლება, რომ დღეს, 21-ე საუკუნეში მიმდინარე მშენებლობების დიდი ნაწილი არც გარემოს, არც ლანდშაფტის, არც არქიტექტურის ელემენტარულ ანაბანას, არც საკუთარი ქვეყნის, ქალაქის, სოფლის სპეციფიკას, ტრადიციას და არც კაცობრიობის მიერ მიღებულ უზარმაზარ გამოცდილებას ოდნავადაც არ ითვალისწინებდეს? როგორ შეიძლება, რომ ყველაფერი სიიაფეს („იაფი“ არქიტექტორი, რაც თავისთავად უკვე ცუდს ნიშნავს, იაფი მუშახელი, იაფი მასალა...), დაჩქარებულ ტემპს, მაქსიმალურ მოგებას და ერთდღიან ეფექტს ემყარებოდეს?





ბათუმში მიმდინარე სამუშაოების – დასუფთავების, გამწვანების, გზების გაყვანის და ა.შ. არდანახვა, არდაფასება შეუძლებელია. მართლაც რომ დაუნახავი უნდა იყო! მაგრამ, ამავე დროს, ისეთი უცნაური გრძობა იბადება, თითქოს ამ მისასაღმებელ, ასე ეფექტურად მიმდინარე პროცესს მიზანდასახულად უკუმიმართულებაც აქვს მიცემული და ერთი ხელით თუ ვალამაზებთ, ვუვლით, მეორეთი, პარალელურ რეჟიმში დაუნდობლად ვამახინჯებთ. ბათუმის ბულვარის ახალ ნაწილში, მომდერალი შადრევნის, დასუფთავებული ტბის, ახლადგასწანილი კაფერესტორნების, პატარა სასტუმროების და უამრავი ახლადდარგული პალმების ფონზე, ერთი-მეორეზე გაუგებარი, მრავალსართულიანი კორპუსი-მონსტრი შენდება. „ცენტროინტის“ მიერ წამოწყებული უზარმაზარი საცხოვრებელი სახლი, სამწუხაროდ, ორი საუკუნის წინანდელ კიტჩს უფრო მოგვაგონებს, ვიდრე ზღვისპირა ზოლზე, სუბტროპიკულ აჭარაში, 21-ე საუკუნეში მიმდინარე მშენებლობას, რომელმაც სხვა საუკუნებთან პარალელურად ფეხით მოსიარულეთა ტროტუარიც კი შთანთქა. ე.წ. „ლუჟკოვის“ სახლის, რესტორნების, სასტუმროების წინ, ტბის მთელ გაყოლებზე – ტროტუარი არის. „ცენტროინტგაფი“ კი ტროტუარისთვის გათვალისწინებულ ნახევარ მეტრსაც ვერ შეეღია.





ეს ისე, ერთი და სამწუხაროდ საკმაოდ ტიპიური, მოგების უზენაესობისა და უკანონოდ ნებართვის გაცემის მაგალითი. ვილაცამ ტროტუარზე გადმოსული სახლის პროექტს ხელი ხომ მოაწერა? ესეც ხომ გემოვნების საკითხი არ არის, რომელზედაც არ დავობენ?

ბათუმზე, ქობულეთზე, მახინჯაურზე, იქ წამოჭიმულ, უმეტესად სადაო კორპუსებზე, რესტორნებზე, სასტუმროებზე, რამდენიც არ უნდა ვილაპარაკოთ, გონიოკვარიათის „აღმშენებლობა“ მგონი, რომ მაინც პირველ ადგილს იმსახურებს. ვისაც უნდა, როგორც

უნდა, რა ზომაც უნდა, რა ფერისაც მოსწონს, რა სტილისთვისაც მოუკრავს თვალი და ბოლომდე ვერ დაუმასხოვრებია, რა სიმაღლისაც აწყობს, ისეთს აშენებს. ამ ერთ დროს ლამაზ, მყუდრო სოფლებში რას არ ნახავთ – კოლონებს, რიკულებს, ჭედურობას, კოშკებს, მანსარდებს, პორტალებს, თალებს, ჩუქურთმებს... გასული საუკუნეების კლასიციზმიდან კონსტრუქტივიზმამდე – სულო და გულო! ყველაფერი დამახინჯებულ, გროტესკულ, გაგონილ და ვერ გაგებულ ფორმებში. სახეზე არსებული შედეგით შეგიძლია ვიმსჯელოთ, რომ კაცი მომკითხავიც არ არსებობს. არა და უცნაურია?! ზუსტად ვიცი, რომ არქიტექტურა დროს ასახავს. ვამბობთ, რომ ახალი ტიპის სახელმწიფოს ვაშენებთ, რომელშიც რას და ქაოსს, ანარქიას არანაირი ადგილი გათვალისწინებული არა აქვს. მშენებლობის პროცესი კი ამავე დროს ყოველგვარ სტრატეგიას, გეგმას, საერთო ხედვას, ელემენტარულ კონცეფციას არის მოკლებული და თითქოს ცალკეული ინდივიდების ანაბარაა მიშვებული. რატომ? სახელმწიფოებრიობასა და დღეს მიმდინარე უსისტემო,





ქაოტურ მშენებლობებს შორის ამგვარი დისბალანსი ვისი ბრალია? სახელმწიფოსათვის ბევრად უფრო მნიშვნელოვანი, აქტუალური სხვა საკითხებით დაკავებული ხელისუფლების, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ საკმაოდ კორუმპირებული დაბალი ბიუროკრატიის, გამდიდრების სურვილით დაბრმავებული და უმეტეს შემთხვევაში, უგემოვნო, მაგრამ თავდაჯერებული ნუვორიში მფლობელების, უვიცი მშენებლების, არაპროფესიონალი და როგორც წესი, „იაფი“ არქიტექტორების (რომლებიც, ამ ბოლო დროს, რატომღაც ერთადერთ „დაბალ ლობედ“ მიიჩნიეს), თუ ყველასი ერთად, პლიუს ზოგადი უკულტურობა, რომელმაც ერთობილი ინტერესების უზნეობის კატასტროფული ფორმა მიიღო?

აი, ახლა, მე ვწერ, თქვენ კითხულობთ. ვიღაცა კი, რაც შეიძლება დიდს, რაც შეიძლება იაფად, ჩქარ-ჩქარა აშენებს, თანაც იმას, რაც, ვინც დახაზა, იმას მოსწონდა, ვინც აშენებს – იმასაც, ვინც დაამტკიცა – იმასაც და ნაწილობრივ, ვინც უნდა დაისვენოს, ან ბინა შეიძინოს – იმასაც. ჩვენ შეიძლება კი მომავალში დასანგრევი, დღევანდელი არქიტექტურით, მშენებლობით თვალნათლივ გამოხატული ჩვენი დროის სურათი წასაშლელი გაუხდებათ. ესეც ხომ, სულ ზუსტად ვიცით?

ქეთუსია იბნატოვა

We All Know...

Current construction activities, going on in Ajara, cause ambiguous – if we put it mildly – reaction. The region, obviously relieved from absurd action and thought control, imposed by the local administration in the near past, is shaking up and changing its image. But where do these innovations lead us?

Large-scale cleaning, landscaping, road mending, refurbishing, etc. processes are nothing but welcome. However, these positive things are counterbalanced by desultory development of commercial construction, which seems to be trying to catch up on the involuntary inaction of recent years. The resulting changes in the region's architectural image are really alarming – on the one hand, we have “singing” fountains, newly planted palm alleys, cleared ponds, refreshed road and pedestrian walkway surfaces, newly-opened cafes and hotels – a comforting tendency, showing that the local authorities have finally started to develop normal, population-friendly living environment. But on the other hand there emerges a jungle of architectural monsters – large residential complexes by realty development companies, settlements of private houses growing wild in fashionable resort areas without any backward thought about style integrity or even the quality of construction. Not without a silent consent of the same governmental bodies, surely? The question is – why does this happen?

There comes to my mind the textbook truth about architecture reflecting the surrounding reality. Georgia is now being built up anew. We all know that this process should represent a collective effort with systematic approach and integral, future-oriented strategy, but allow individual interests take over this bright goal anyway. Why?

KATE IGNATOVA






საქ. ბიზნეს რეგისტრაცია
MODERN ROOFING LTD

**ბრტყელი გადახურვები.
 ჰიდროსაბოლოო სამუშაოები.
 (ბერძანული მასალები)**

მისამართი: 0119, საჯაროებულო ქ. თბილისი,
 ანუწეთელის გამზირი 118
 გამოდენა "ქართული" ს. გენგლონიას
 ბაღი: 356611, ბაღი შექაი: 356146
 მობილური: (595) 530320 (595) 572613
www.modernroofing.ge
 ელ. ფოსტა: modernroofing@mail.ru

გარეთი რეკლამა





სახლი

წარმოდგენილი საცხოვრებლის ჩამოყალიბებისას, იდეა - ემოციური მდგომარეობის ცვალებადობის გამოხატულებად ჩამოყალიბდა. მისი მოცულობა და ინტერიერი, არქიტექტორ მიხეილ ვაშაკიძის პროექტით შეიქმნა.

თანამედროვე, თავისუფალ ფორმაში, არქიტექტურული დეკორის ყოველი ნიუანსი მნიშვნელოვან დატვირთვას იღებს. ეკოლოგიური დიზაინის ტექნოლოგიურ ელემენტებთან შერწყმა, ეფექტური და გამომხატველობითია. ერთიანი სივრცის შექმნა, სასიამოვნო ურთიერთობებისათვის განგვანყობს. დიზაინის სახე თანამედროვე დეკორის მოტივებით, მოცულობითა და პლასტიკური გადაწყვეტებით, არქიტექტურული რითმებითაა მიღწეული. თავისუფლად ფორმირებულ სივრცეში, თითოეული ნიუანსია აქცენტირებული, რაც თავისთავად დიზაინის სტილს განსაზღვრავს. სწორედ მიგნებული ინტონაციების ფონზე ინტერიერში შესაბამისი ატმოსფერო, სასიამოვნო განწყობა, სიმყუდროვე, კომფორტი ისადაგურებს და იგი მაქსიმალურად სრულყოფილი, დასამახსოვრებელი სახით წარმოჩინდება.

ნინო ლაღიძე



A residential house

Author of the residential construction is architect Mikheil Vashakidze. Main accomplishment of the project is its close connection with the surrounding space, the immediate environment. The construction is very compact with main architectural groups ingeniously connected with each other. Its architectural composition is rather original and harmonious. Volume of the building, composed of diverse geometric forms, develops dynamically and flexibly. Unusual, light and uncomplicated roofing acts as a dominating exterior detail.

Interior of the house is connected with the outer world by a range of glazed

surfaces, which expand its borders and let in a great deal of sunlight and air. Constructional lightness of larger masses is reiterated by minor design elements, decorative compositions and accessories. The house breathes in unison with its surroundings, offering its inhabitants a comfortable living environment as well as the exciting beat of city life.

NINO LAGHIDZE





ქალაქურის ასოციაციები

ქალაქის ისტორიულ უბანში არსებული საზოგადოებრივი შენობის რეკონსტრუქცია, მისი სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნება, აუცილებელი პროცესია, რადგან ის, რაც ღირებულია, გაფრთხილება უნდა. სწორედ რეკონსტრუქციის შედეგად მოხდა არქიტექტურული კომპლექსის „ქალაქურის“ ჩართვა ქალაქის მაჯისცემაში. შენობის შიდა და გარე სივრცეების თანამედროვე კონტექსტში შერ-

წყმამ მნიშვნელოვანი გახადა მისი მოცულობით-სივრცობრივი კომპოზიცია.


ნაგებობის შიდა სივრცემ რეკონსტრუქციის შედეგად მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა, რაც გარკვეულწილად მისმა მრავალფუნქციურმა დანიშნულებამ განაპირობა.

შესაძლებლობა გვეძლევა წარმოგიდგინოთ „ქალაქურის“ მოცულობაში რეალიზებული, სტილისტურად თუ მხატვრული თვალსაზრის-

ით, აბსოლუტურად განსხვავებული საზოგადოებრივი ინტერიერები - კლასიკური რესტორანი, „ლაუნჯი ბარი“, დისკო კლუბი და ე.წ. „მარაკანული ტერასა“ (ბარი), რომელთა დიზაინი, არქიტექტორების, ირაკლი ლაზარიაშვილისა და გიორგი ხვიციას პროექტით შეიქმნა.

„ქალაქურის“ ელემენტური გარემო თავიდანვე ამაღლებულ, რესპექტაბელურ შეგრძნებებს იწვევს მნახველში. ავტორთა მიერ,








ორიგინალური გადაწყვეტითა და საინტერესო მიგნებებით, კომფორტული, ესთეტიკურად თვითმყოფადი საზოგადოებრივი სივრცეები წარმოიქმნა. ინტერიერში მოცულობები თავისუფლადაა განთავსებული, თუმცა მათი განლაგება მკაცრ კანონზომიერებას ექვემდებარება - ყველაფერი მხოლოდ სილამაზისათვის და სარგებლობისთვისაა შექმნილი. სტილისტურად რადიკალურად განსხვავებ-

ულ სივრცეთა თითოეული მონაკვეთი დამოუკიდებელი და დამთავრებულია, ყოველი კუთხე და დეტალი პროფესიული თანმიმდევრობითაა შესრულებული. ფურნიტურა საერთო ასოციაციაციების სისტემაშია ჩართული და არსებული არქიტექტურული ფორმებიდან იღებს სათავეს. იგი, გარემოს მხატვრულ-დინამიკურ გამოხატულებას - მისთვის დამახასიათებელ შარმს აძლიერებს - უფრო მეტად გამოხატ-

ველობითს ხდის.
... განათება, ფერი, აქსესუარები, პროპორციები, მოძრავი გრაფიკა - მათი ერთობლიობით არაორდინალურ გარემოთა განსხვავებული ხასიათები იქმნება და ყოველი მოცემული შემთხვევა, ტექნოლოგიური სიახლეების საშუალებებით გამოგონილ სტრუქტურაზე გაცილებით მნიშვნელოვანია.

ნინო ლალიძე





Urban Associations

Architectural complex Kalakuri (literally translated as “urban”) was returned to the active city life as a result of reconstruction. Interior of the building underwent considerable changes conditioned by its diverse functionality. At the time being, Kalakuri complex houses a classical restaurant, a Lounge Bar, a disco club and a so-called “Moroccan terrace” bar – areas with


totally different styles, designed by the same authors – architects Irakli Lazariashvili and Giorgi Khvitia.

In the elegant, imposing environment of Kalakuri complex, the authors created several original, comfortable, aesthetically unique public spaces with uninhibited but logical structure and enhanced functionality. In the interiors, where all the details are developed with equal

skill and care, furniture and accessories are included into the general associative structure, highlighting expressivity of this or that space and increasing its charm.

Lighting, coloring, choice of decorations, flexible graphics help define the distinctive character of each particular interior with surprising efficiency and ease.

NINO LAGHIDZE



სერვის-მუენი



- პროექტირება;
- არქიტექტურული ნახაზების სივსოპრივი ვიზუალიზაცია;
- კონსტრუქცია;
- საპროექტო გადაწყვეტების უთანსება;
- სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია;
- მუენებლოა;
- ულტრათანამედროვე მასალებითა და ალტურვილოვით ობიექტის კომპლექტაცია;
- ყოველი ეტაპის ზედამხედველოა.



თბილისი,
ტაუკენტის ქ. №27
ტელ.: 45-01-52





და არა მარტო...

გარემო - დიდი ქოლგებისქვეშეთი ბავშვობისდროინდელ სა-თამაშოს გავს. მერე ოვალური საფეხურებით ლამაზ, სტაფაჟურ სარდაფში ხვდები, განსაკუთრებული განწყობა იქმნება და არა მარტო...

არაორდინალური ადამიანების - არქიტექტორ ოლიგო მას-ხარაშვილისა და მსახიობ ნატო ებანოიძის შექმნილი პატარა კა-ფე, ძველი თბილისის ერთ-ერთ მყუდრო ქუჩაზე - „და არა მარ-ტო...“, „... უფრო სწორედ, ის კაფე კი არა, რაღაც გამჭვირვალე-ბით დაცული მუდმივმოქმედი სპექტაკლია - სცენაა მყუდრო „კუ-ლუარებით“, სადაც სურვილისამებრ, მთავარ გმირად მონანი-ლეობ და რეალობით ტკბები.


ქვევით, სტაფაჟში მელოდია რიალებს, გარეთ, ქოლგის ქვეშ, მაგიდაზე მადისამძღვრელი ნატურმორტია - ცხელი ყავა, ორი-გინალურ ფიალებში ნაღები, ხილი, სალათები - არჩეული, არა მხოლოდ გემოვნების, არამედ ესთეტიკური თავისებურებების მი-ხედვით. საერთოდ კი, თითოეული „მოქმედების“ გაფორმება, რომ აღარაფერი ვთქვათ სივრცეზე, ავტორთა ცხოვრების აუცილე-ბელი შემადგენელი ნაწილია. ამასთან, ყოველი „ნატურმორტი“ კომპოზიციის კანონების გამეორების გარდა, მოულოდნელი გა-დანწყვეტილების ძიებაა, მიგნებაა და არა მარტო...

ღია თუ დახურულ სივრცეში თავისუფლად რაფინირებულ თითოეულ ნივთს მთელი სისასხით აღიქვამ. ავტორებმა სპონ-ტანურად, თითქმის თამაშით მოგონილი თემატური სცენარით, შინაარსობლივად შთამბეჭდავი ექსპოზიცია შექმნეს, სადაც სი-ვრცის მთლიანობა ცალკეული მოდულური ელემენტებითაა გა-ჯერებული. ყოველი დეტალი პიროვნულად იპყრობს ყურადღე-ბას, ამიტომ აქ უსახურ აქსესუარს ადგილი არა აქვს. ნიუანსე-ბი ინდივიდუალურია, თავისებურად ეფექტურია. მათი ფერი, ფორ-მა, ფაქტურა საგნებს უტილიტარულ მნიშვნელობაზე უფრო ამაღლებულ, განსაკუთრებულ დატვირთვას ანიჭებს...

მოცემული სივრცის ფორმულა ძალიან უბრალო იქნებო-და (რადგან მისი შემადგენლები, გარკვევით ახსნადი და გა-საგებია), რომ არ აღმოჩენილიყო მასში ავტორთა ტალანტი-სა და გემოვნების რაოდენობის განმსაზღვრელი უცნობი. უც-ნობი კი, როგორც ვიცით ცვალებადი სიდიდეა, ამიტომ შედეგი, თითოეულ მოცემულ შემთხვევაში წინასწარ განუსაზღვრელია და არა მარტო...

ნინო ლალიძე

ფოტო: ბასო გულაშვილი







Daaramarto...

This world, sheltered under big umbrellas looks little and appealing like a child's toy. From there, oval stairs lead into a cozy basement cafe with comfortable and relaxing atmosphere and a bit more than that...

Cafe "Daaramarto" (And More Than That...), designed by architect Oliko Maskharashvili and actress Nato Ebanopidze, is nestled in a narrow street in old Tbilisi. The place – a theater with its semi-transparent backstage world offers an ongoing spectacle and invites visitors to just watch the show or join into the play and become one of the key characters. Hot coffee, cream, fruits and salad served under an umbrella on the terrace and accompanied by the sounds of music, coming from the basement, seem especially succulent. The choice of dishes not just tasty, but also aesthetically refined. The hosts seem to relish every detail and weave it into the general canvas of the cafe atmosphere, striving to conform to the requirements of taste and find unexpected design solutions.

Both on the terrace and in the basement, the authors have created an impressive composition, where the integrity of space is balanced by modular elements. Objects, constituting the general thematic scenario, surprise with their outstanding individuality, leaving no place for impersonal accessories. Every detail with its color, form, texture, positioning, diversifies the background simplicity of the interior, highlighting the authors' imagination and ingenuity.

NINO LAGHIDZE
PHOTO BY BESO GULISHVILI





სიახლე ქართულ ბაზარზე - დეკორაცია და ლანდშაფტური არქიტექტურა „ანიკონ სტილისგან“

სივრცითი მყუდროება, შესაბამისი ტონალობები, მოცულობა, ფართო სპექტრის ასორტიმენტი, როგორც ინტერიერ-ექსტერიერის, ასევე დეკორაციისა და ლანდშაფტური არქიტექტურის სფეროში, – ეს ის მომსახურება და მაღალი ხარისხია, რომელსაც საერთაშორისო კომპანია „ანიკონ სტილი“ მომხმარებელს სთავაზობს.

„ანიკონ სტილის“ მიერ შექმნილი ინტერიერი ფართო დიპაზონის სტილის გამოყენების შესაძლებლობას იძლევა. კომპანიის კლასიკური, მოდერნისა თუ ბაროკოს სტილის შექმნის საკმაოდ დიდი გამოცდილება გააჩნია. ტონალობის შესაძლებლობები და სხვადასხვა მასალებისგან გაკეთებული ნაკეთობები, როგორცაა გრანიტი, ბრინჯაო, ძვირფასი მეტალები, განუმეორებელ ინდივიდუალურ დეკორაციას ქმნიან.

კომპანია „ანიკონ სტილი“ 1987 წელს მოსკოვში დაფუძნდა. რუსეთის უძრავი ქონების ბაზარზე აქტიური ოპერირება კი, მოგვიანებით 1999 წლიდან დაიწყო. შესასრულებელი სამუშაოსადმი კვალიფიციური მიდგომით კომპანია რუსულ ბაზარზე უპირობო ლიდერად იქცა. საქართველოში ანალოგიური ტიპის სანარმო არ არსებობს. „ანიკონ სტილმა“ ერთობლივი სანარმო უკრაინაში, ოდესაში უკვე დააფუძნა. გამორიცხული არ არიას, კომპანიამ საქმიანობის არეალი სხვა მეზობელ ქვეყნებშიც გააფართოვოს.

სწორედ, რომ დროული აღმოჩნდა კომპანია „ანიკონ სტილის“ საქართველოს ბაზარზე გამოჩენა, რომელიც მაღალი ხარისხის მომსახურებით უკვე ქართველ მომხმარებელსაც გაანებივრებს. კომპანიის ქართული წარმომადგენლობის პრეზენტაცია სექტემბრის ბოლოს შედგა. ღონისძიებას საქართველოს ბიზნეს სექტორის, მათ შორის უძრავი ქონების ბაზარზე მოქმედი კომპანიებისა და მედიის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ.




„ანიკონ სტილი“ დაფუძნებული ვაჟა მახარაშვილი

როგორც კომპანიაში განმარტავენ, ფასადების გაფორმება საკმაოდ რთული, საპასუხიმგებლო და მძიმე პროცესია. აუცილებელია მიიღო, არა უბრალოდ შენობის ორიგინალური ექსტერიერი, არამედ დიზაინის კონცეფციის შემუშავებისას შეინარჩუნო შენობის ფასადისა და ინტერიერის ერთხმიანობა. შენობის ექსტერიერი ითხოვს განსაკუთრებულ მიდგომას, ერთის მხრივ მისი გაფორმება ხდება ერთხელ და სამუდამოდ, და მეორეს მხრივ ეს სამუშაოები საკმაოდ დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული. შესაბამისად, დასრულებული სამუშაოს მაღალი დონე კლიენტის სურვილებიდან გამომდინარეობს.

„დღეს კომპანიის საქმიანობის აუცილებელ მიმართულებად თაბაშირის ძეგლის წარმოება იქცა, რომელიც ძირითადად შენობის ინტერიერის დეკორაციისთვის გამოიყენება. წლების განმავლობაში მიღებული გამოცდილება, საქმისადმი და კლიენტისადმი პასუხიმგებლობის გრძნობა, ორგანიზაციის დახვეწილი მენეჯმენტური სისტემა, თანამედროვე ტექნოლოგიები, კომპანიას

სამუშეობას აძლევს შეასრულოს ნებისმიერი რთული სამუშაო. ხარისხის კონტროლის ევროპული სისტემა კი კომპანიის სპეციალისტებს პროექტის მაღალი ხარისხით შესრულებაში ეხმარება“ – აღნიშნა კომპანიის დამფუძნებელმა ვაჟა მახარაშვილმა.

კომპანია „ანიკონ სტილი“ სხვადასხვა სახის სამუშეობათანერთად ასრულებს ექსკლუზიურ დაკვეთებსაც. „ანიკონ სტილის“ მიერ შესრულებულ პროექტებს შორისაა: უნიკალური ბუხარი (ბორის ელცინის აგარაკი), ვიპ-ბილ-დანის პრეზიდენტის (რომელშიც ომის შემდგომ პერიოდში ცხოვრობდა საბჭოთა კავშირის მარშალი კონევი), მიხეილ იუკოვის (საარბიტრაჟო სასამართლო), სერგეი სტეპანინის (კონტროლის პალატის თავმჯდომარე, ყოფილი პრემიერ-მინისტრი), გენადი სელენოვის (დუმის ყოფილი სპიკერი), ვლადიმერ პოტანინის (ინტერროსის პრეზიდენტი) აგარაკები. აგრეთვე წმინდა გიორგის სახელობის ქართული ეკლესია ოდინცოვოში, ქართული ეკლესია ძველ არბატზე, ქართული სკოლა-გიმნაზია მოსკოვში და ალექსანდრეს დარბაზი კრემლში.



კომპანიის მიერ განხორციელებული ერთ-ერთი პროექტი

სახლი წყნეთში

წარმოდგენილი საცხოვრებელი სახლი დაბა წყნეთში, არქიტექტორ გიორგი მოსულიშვილის პირველი პროექტია. მისი არქიტექტურა მინიმალისტურ სტილშია შესრულებული, რაც გამოიხატება ფორმათა სისადავით, ინდივიდუალურობით, ბუნებრივი განათების მნიშვნელობით და გამოყენებული მასალების და ტექსტურების უპირატესობით დეკორატიულ ელემენტებთან მიმართებაში.





I საბინაო

1. ჰოლი
2. საშახეულო
3. სახითო ოთახი
4. ბიბლიოთეკა
5. საეუქნაო
6. აბაზანა

ეზოში ხით მოპირკეთებული ტერასები და ბილიკებია. ხის ფენილს, მნიშვნელოვანი უპირატესობა გააჩნია გავრცელებულ მოსაპირკეთებელ ქვის ფილებთან, რაც მთავარია ეკოლოგიური და უსაფრთხოა. მაგალითად, ბავშვებისთვის სათამაშოდ, „რბილია“ - ხის კოჭებზეა დაგებული და შეასაბამისად დრეკადობა გააჩნია. გარდა ამისა, ხის მასალა თბომედეგია, მასზე, გარემოს ტემპერატურული ცვალებადობა (ზამთარ-ზაფხულ) ზემოქმედებას ადვილად ვერ ახდენს. ხის ტერასებზე სიცხეშიც და სიცივეშიც ფეხშიშველა სიარული მეტად სასიამოვნოა.





II სახიჯი


1. ჰოლი
2. მშობლების საძინებელი
3. მშობლების აბაზანა
4. ლია ვეხანდა
5. ბავშვების საძინებელი
6. ბავშვების საძინებელი
7. ბავშვების აბაზანა
8. ბავშვების საძინებელი



მეორე სართული მთლიანად განკუთვნილია კერძო სფეროსთვის, კერძოდ საძინებლებისათვის. აქ განთავსებულია სამი საძინებელი ბავშვებისათვის და ერთი საძინებელი მშობლებისათვის, რომელსაც თავისი იზოლირებული სააბაზანო ოთახი გააჩნია.

არქიტექტორის შემოქმედებაში იგრძნობა გერმანიაში მიღებული განათლების და გამოცდილების გავლენა, რაც გამოიხატება გერმანელი არქიტექტორებისთვის დამახასიათებელი პროექტირების სიზუსტეში, დეტალების დანვრილებით გეგმარებაში და ობიექტის ესკიზიდან დაწყებული მშენებლობის პროცესის მუდმივ კონტროლში.








მინისქვეშა სართული, სადაც განთავსებულია ბილიარდის ოთახი, ოთახი ბუხრით, ბარი, საუნა და მარანი, აშენებულია ორმაგი კედლებით - მთელი სართულის გარშემო, ერთი მეტრის მოშორებით მეორე კედელია ამოყვანილი, რაც ასრულებს დრენაჟის და სართულის ბუნებრივი განიავების ფუნქციას. აქედან ხდება მისი მუდმივი განიავება. საბილიარდოში და საუნაში ჭერი ნანილობრივ მინის კონსტრუქციითაა გადახურული, ასე, რომ აქ დარგულ ბამბუკებს საარსებოდ საკმარისი ბუნებრივი შუქი მიეწოდებათ და საერთოდ, დღის განმავლობაში, ეს სათავსო არ საჭიროებს ხელოვნურ განათებას. მინისქვეშა სართულიდან გავდივართ, როგორც ავტოფარეხში, ასევე ეზოში.

სახლში მთლიანი სივრცის დახვეწილი, მშვიდი გარემო დროის ნებისმიერ მონაკვეთში ახალი, სასიამოვნო აღქმითი მოულოდნელობების რაკურსების წარმოჩენის უნარს ინარჩუნებს.

ფოტო: ვია ჯაპელიძე





კლასიკის სიმბოლური ველი

თბილისის ერთ-ერთ პრესტიჟულ უბანში, ონია-შვილის ქუჩაზე, არქიტექტორ რევაზ ტყემალაძის მიერ დაპროექტებული სახლი დგას. პროექტი, სამშენებლო კომპანია „ეი-ენ მშენმა“ (მშენებლობას აწარმოებდნენ თამაზ ყავლაშვილი, დავით ყავლაშვილი, ირაკლი ტყემალაძე) განახორციელა. მისი მოცულობა შორიდანვე თვალშისაცემია. სახლი შეკრული სასახლის შთაბეჭდილებას ტოვებს. მისმა მოცულობითმა დეკორმა და არქიტექტონიკამ შესაძლო გახადა ნაგებობა მიკრო გარემოში ჩაწერილიყო. მასიურობის მიუხედავად სახლი მასშტაბური და მსუბუქია. ექსტერიერი ავტორიტარულია და გარკვეულწილად გვაიძულებს დაუნერვლ კანონებს დავემორჩილო.


ოთ. კლასიკური სტილი წარსულის დიდგაროვანთა სასახლეებშიც გამოირჩეოდა რაფინირებული წესრიგით და ახლა ძველი ეპოქის გამოძახილი - გარდაქმნილი სივრცის კლასიკური სული თანამედროვე შენობის მოცულობაში გამოვლინდა.


ავტორი, თავის შემოქმედებით კრედოს მსხვილი ფორმების მოკრძალებულ რეალიზაციაში აყალიბებს. ამასთან ერთად მნიშვნელოვანია ის, რომ შემოქმედებითად გააზრებული მოცულობის სახე სტილების თავისებურ გადამღერებას წარმოადგენს. მასში არქიტექტურული დეტალების კოლორიტი ყოველ ვერტიკალურ თუ ჰორიზონტალურ ჭრილშია გადათამაშებული და კლასიკის სიმბოლურ ველს ქმნის.

სახლის ექსტერიერი ინტერიერი აგებულია მრავალბლანიათა. ერთიან მთლიანობაში მოქცეული, გემოვნებით შერჩეული, თანამედროვე არქიტექტურული დეტალების კომპოზიციები, კლასიკურ სტილში სასიამოვნო დისონანსის შემოტანია და შესრულების მაღალ პროფესიონალიზმს ადასტურებს. თითოეული დეტალისადმი გულდასმითი დამოკიდებულებით, არქიტექტორმა თუ მშენებლებმა, საცხოვრებელში მთლიანი სივრცის თავისუფლების მზარდი ხარისხის გამოყენებით მდიდრული, კომფორტული და მშვიდი გარემო შექმნეს.

ნინო ლალიძე







სტილი №24. 2007

Symbolical Dimension of Classical Style

In one of the fashionable districts of Tbilisi, in Oniashvili Street, there stands a house designed by architect Revaz Tkemaladze and realized by construction company A-N Construction (construction works supervised by Tamaz Kavlashvili, David Kavlashvili and Irakli Tkemaladze). The building is impressive and eye-catching. Its bulky and imposing exterior – repercussion of


classical style in the modern setting – stands out with noble orderliness and lightness.

The author expresses his artistic identity through modest realization of large architectural forms and mixing of different trends, so that every architectural detail acquires a special meaning and the the symbolical background of classical style is gently interrupted by taste-


fully matched modern-style compositions.

Both exterior and interior structure of the house have a very complex structure. By carefully considering all the aspects thereof, the architect succeeded in creating a free-flowing, luxurious, comfortable and peaceful residential space.

NINO LAGHIDZE







წარმოგიდგინთ ლიტველი არქიტექტორების პროექტებით განხორციელებულ რამოდენიმე ობიექტს.

საცხოვრებელი სახლი „S house“ კაუნასში, კაუკოს ხეივანში მდებარეობს. პროექტის ავტორები, არქიტექტორები ვილიუს ადომავისიუსი და ვიდა ვინიაუსკიენე არიან. შენობის არქიტექტონიკა მობილური და მინიმალისტურია. იგი ზედმინეწვით მორგებულია გარემო ლანდშაფტს და მის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. საცხოვრებლის ყოველი ფუნქციური რგოლი - საცხოვრებელი (თითქმის 300 კვ.მეტრია) და სარეკრეაციო სივრცეები (ეზო საუნიტო, ჯაკუზი, ტერასა, აუზი, გარაჟი და სხვა) - ერთმანეთთან კავშირშია.

ფასადების მოსაპირკეთებლად გამოყენებული ინდური ქვიშაქვის ფაქტურა, სახლის სხვადასხვა რაკურსიდან აღქმისას, განსხვავებულ ვიზუალურ ეფექტებს იძლევა - კედლების ზედაპირი თითქოს ქრება და სტრუქტურული ბათქაშის მუქი ყავისფერი ნათება პეტრონის სტრუქტურას იმეორებს (პროექტის ავტორი ნ. გირცისი). მოცულობაში 60-იანი წლების რეტრო დეტალები - მრგვალი, დინამიკური ფორმები გამოყენებული. ინტერიერის დომინანტი, პირველ სართულზე არსებული, ხელნაკეთი კერამიკული დეკორით მოპირკეთებული, 110 მეტრი დიამეტრის მქონე უზარმაზარი წრიული ბუხარია. ერთმანეთში გარდამავალ შიდა სივრცეებს ზღუდეები არ გააჩნია, თუმცა, კორიდორები, პარადული თუ სარეკრეაციო ზონები, „შუალედური“ მონაკვეთებით ფუნქციურად არიან დაკავშირებული. გამოყენებული მასალის ფერი და ფაქტურა ინტერიერის რბილ სტრუქტურას აყალიბებს. აქ, ვერ ნახავთ შელესილ ზედაპირებს, კედლები ნაჭრის შპალერიტაა დაფარული. ხისა და ტყავის ავეჯი, სპეციალურად ამ სახლისთვის შექმნეს კლასიკური მოდერნიზმის ვარსკვლავებმა (ლე კორბუზიე, აშილ ქასთიგლიონი, ვიკო მაგისტრეტი, პიტერ მელი, პასკალ მოურგი და ლუის პოულსენი) და ლიტველმა დიზაინერებმა (ვ. ზაბულიონისი, ა. სტრაიგიტი, ს. გურსინიენე). ყოველივეს ფონზე საცხოვრებელში განსაკუთრებული სიმყუდროვე და კომფორტია გამეფებული.





კაუნსას ცენტრში, ერთ-ერთ მიმზიდველ (ძველთაძველ) პარკში, აზუოლინასში (მუხნარი), ღია ჩოგბურთის კორტების გვერდით, სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრია განთავსებული. პარკს, აღმოსავლეთის მხრიდან ზოოპარკი ესაზღვრება. დასავლეთით, ორ-სამ სართულიანი საცხოვრებელი რაიონი (XIX საუკუნის დასაწყისი განაშენიანება) მდებარეობს. პარკის მარჯვნივ, კი კაუნსას სპორტული დარბაზი, სტადიონი, ჩოგბურთის კორტები და ფიზიკური განათლების აკადემიაა. აზუოლინას პარკი ჰარმონიულად ერწყმის ქალაქის ისტორიულ მემკვიდრეობას.

ჩოგბურთის მოედნთან, საბჭოთა პერიოდში აგებული გასახდლები, ვეღარ აკმაყოფილებდა თანამედროვე მოთხოვნებს - აუცილებელი გახდა ახალი ნაგებობის აშენება. იგი, თავისი ფორმა-მოცულობით არაორდინალურია და ძირითადი შენობის კონფიგურაციას იმეორებს.

ახალი სპორტულ-გამაჯანსაღებელი შენობის ფორმა, სტრუქტურა და მოხაზულობა ასმეტრიანი მონაკვეთის გრძელი და ვიწრო ფორმითა და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სიტუაციით იქნა განსაზღვრული. გრძელი, დიდი მოცულობა გარემოსთან რომ შერწყმულიყო და ამავე დროს ძველი საცხოვრებელი ზონა არ დაეჩრდილა, რამოდენიმე სექციად დაიყო. მისი ზოგიერთი სათავსო დაპროექტებულია პრინციპით - კოლოფი კოლოფში. სივრცეების შესაქმნელად გამოყენებული განსაკუთრებული რიგი კოლოფებისა, მინით შემოზღუდული ექსტერიერის კედლებიდან იკითხება. საზოგადოებრივი ნაგებობის სტრუქტურა ურბანიზმსა და ბუნებრივ გარემოს შორის ორიგინალურ ზღვარს ქმნის. ჰაერში აღმართული ნაგებობა პარკს არ ფარავს. მინის მოცულობა, მინის დონიდან მეორე სართულამდე მეტალის კოლონებითაა აწეული. ქვედა ნაწილი მანქანების სადგომისა და ოფისებისთვისაა განკუთვნილი. სტრუქტურა კარკასულია. მზიდი კონსტრუქციები რკინა-ბეტონისაა. კოლონათა შორის ბიჯი 9 - 9,6 მეტრია. კონსტრუქციები, სავენტილაციო მილები და სხვა საინჟინრო კომუნიკაციები ღიადაა დატანილი ფასადზე და სპილოსძვლისფერი პლასტიკის ფენილითაა დაცული.

კაფეს აივნიდან, რომელიც შენობის აღმოსავლეთის მხარესაა მოწყობილი, ჩოგბურთის მატჩის ყურებაა შესაძლებელი. კაფეს სივრცეც, მიზანმიმართულად, სიგრძივ არის განვრცობილი. მაგიდები და დასაჯდომი ადგილები მინის ვიტრინას გასდევს. ექსტერიერსა თუ ინტერიერში ოსტატურად მიგნებულ დიზაინერულ გადანყვეტებს შენობის ერთიან არქიტექტონიკაში საინტერესო ნიუანსები შეაქვს.

შეკიდულ ჭერქვეშ განთავსებულია ტანვარჯიშისა და აერობიკის დარბაზები, გასახდლები საუნებითა და ჯაკუზებით, მედპუნქტი, ტურისტული სააგენტოები, კაფე, ადმინისტრაცია, ინსტრუქტორთა ოთახები. ინტერიერში „მძიმე“ მასალა და უსარგებლო დეკორი არაა გამოყენებული. ხე და მეტალი საინტერესო კონტრასტებს ქმნიან. შავი ფერითი კონსტრუქციები კი ხაზს უსვამენ დეტალების ფორმას. ყოველივე მარტივი და ეკოლოგიურია. მთავარ შესასვლელში არსებული ფუნქციური მრგვალი კიბე (პირველ სართულზე კიბე ხელოვნურად ნათდება, რაც მეტად თვალშისაცემია უამინდობისას) და ნაგებობის წაგრძელებული ფორმის კორიდორი - სხვადასხვა ტიპის მოცულობების დამაკავშირებელი დომინანტები - თავისთავად დიდ ყურადღებას იქცევენ.

ინტერიერში განსაკუთრებულ ატმოსფეროს ქმნის არსებული გარემო, რომელიც თითქმის ყოველი მხრიდან იჭრება შემინულ მოცულობაში და წელიწადის დროთა ცვალებადობის შესაბამისად იცვლება.

თარგმანი: ნატა კურტანიძე, მირიან მარბალიტაშვილი

Contemporary Lithuanian Architecture

Architectural Studio “Vilius and Partners”

Vilius Adomavicius (director), Vida Vysniauskiene, Darius Ciuta, Nerijus Sadauskas, Vytautas Baltus



...Residential housing block in the outskirts of kaunas' old town, designed by architects V. Adomavicius, V. Vysniauskiene, D. Ciuta and N. Sadauskas is rare architectural try to convey historical spirit by contemporary architecture instead of just frivolously copying historical form. Conceptual solution of houses' volume connected 2 different building types into one unit, nevertheless, creating space multiplicity inside the block which reflects spontaneously evolving old-town spirit...

Almantas Bruzas, Statybu Pilotas, 2006/12

...One cannot escape a feeling that architects V.Adomavicius and V.Vysniauskiene, deliberately or not, created rather a "1918-1939 independent lithuania style" house, which embodies in itself the best interwar kaunas's architectural features - beautifully proportioned rectangular forms, tight connections with surroundings, horizontal lines of glass openings. Decent architectural ideas never date - out, it rebirths in new forms with new aesthetical nuances, new stylistics...

Statybu Pilotas, 2006/3

...It is really a modern classic box ? la Mies Van Der Rohe, something between moderate functionalism, rounded tendencies in the most recent design and somewhat brutal high-tech, which means open engineering, pipes, air ducts, metal beams et al...

Namas Ir As, 2004/7-8



These quotations describe the activities of Lithuanian architectural studio "Vilius and Partners". Below we would like to introduce several constructions, designed by the Lithuanian architects.

S house - Kaunas, Lithuania; Architects - Vilius Adomavicius ,Vida Vysniauskiene

The house in Kauko Alley, Kaunas, was designed by Vilius Adomavicius and Vida Vysniauskiene; it is alive and real because it 'lives' in peace and quiet somewhere between moderate contemporary style, modern retro and Japanese minimalism. All functional premises have been connected: the garage, the boiler room, storage premises, the living (almost 300 m²) and recreational spaces (a private courtyard with a sauna, Jacuzzi, barbeque terrace and mini-pool).

Patterns of Indian sandstone on the facade can be seen only from very close, and they are changing when the observer is moving. The surfaces of the walls as if disappear leaving only the highlights of dark brown structural plaster that repeat the supporting reinforced concrete structure (designed by N. Gircys).


There are Retro details of the 1960s: bubble patterns and butterflies around the house. The key object on the ground floor is a huge green round 110 cm diameter fireplace with handmade ceramic finish and a witty Art Nouveau tongue reaching the floor.

Inner spaces merge with each other: transitional spaces have no supports: they connect the corridor, the sitting room and the recreational zone: glass partitions open the interior to the courtyard. There are two spacious balconies-terraces in the house. Colours, materials and textures form a soft fabric: there are no plastered surfaces inside: everything is covered by textile wallpaper. Wooden and leather furniture was designed by the stars of classical modernism (Le Corbusier, Achille Castiglioni, Vico Magistretti, Peter Maly, Pascal Mourgue and Louis Poulsen) as well as by Lithuanian designers specifically for this house (V.Zabulionis, A. Straigyte and S.Gurciniene). All this creates the atmosphere of a real home.

Sports and wellness center designed and built beside open tennis-courts in one of the most attractive parks of Kaunas city - Aзуolynas (Oakery). It is a hoary oak park situated in the city's center. East side of it bounds a zoo. At the west there is two-to-three stories dwelling-house area, built at the beginning of the 19th century. And to the right of Aзуolynas's park there are Kaunas's sports hall, stadium, tennis courts and the Academy of physical education. Aзуolynas park is indrawn into town's list of heritage objects.

Previously the site beside tennis courts was occupied by stands for crowds with lock-er-rooms below it. While built in the soviet period it didn't fit nowadays community requirements and also was technologically out of date. The necessity of new quality object emerged.

The choice of form, structure and trimming materials for the building was prompted by the long and narrow, 100-eter long site, creating a potential problem of parking lot and natural surroundings. To fit the lengthy and massive size tenderly into natural surroundings as well as not to shade the surrounding residential houses, the bulk of the building was divided into several sections with the help of partitions, decoration materials and illumination. Some of the rooms are designed as a box in the box - e.g. the hall, into which the author has inserted rectangular guest and kitchen volumes with their own roofing.



Peculiar precept of boxes is used to compose all the areas, which can be "read" through exterior glass walls. Sports and wellness center with its hatched-dotted structure delineates the margin between urbanism and natural park environment. Poising in the air, the building does not cover park's prospects.


Glazed volume of the building is lifted to the first floor level by the metal columns. The area below is used as a parking lot and offices. The structure is framework with metal-reinforced concrete combined frames acting as main bearing constructions. The dimension of column net is 9 by 9.6 m. The span between storey is monolith brim reinforced concrete slab. The constructions, ventilation ducts and other engineering equipment are openly exposed on the exterior. Ventilation and conditioning equipment railed with metal grid is placed on the roof hereby continuing the motive of "box formation". Rain drainage and sewerage stanchions, plunging baldly from the building, are insulated and hidden from view by layers of thick-walled ivory-colored plastic.

Cafe with a terrace is arranged at the east side, from where the tennis games can be observed. Cafe is stretched wide on purpose, with tables and settees lined along glass-case of the building. Rails of the balcony are openwork tracery made of metal grid and glass. Flooring is natural larch.

The suspended level contains gym and aerobics halls, changing rooms with saunas and Jacuzzis, medical facilities and consulting rooms, a travel agency, a cafe, administration office and tutor rooms. Interior decoration uses the minimum of "heavy" materials and needless decor. Finishing materials are simple, yet durable and environment-friendly. Key highlight of interior space is the variety of changeable views, opening from the windows.

Main entrance emerge of functional stairwell, rocketing from causeway to vestibule straight through the slab. Illumination of the ground floor stairwell is intensified so as to catch eye during the sunless part of the day. Due to the excessive length of the building, the passage becomes a key element, an axis, linking different areas. Passage floor and walls are coated with durable polyvinylchloride, imitating the decoration of wooden battens and contrasting with metal ceiling which has seven dome skylights. Careing to hold weightlessness of the building some of the partitions are glazed in the same manner as the inner sash-doors. Frames are colored black, just like the other highlight details in the interior, e.g. kitchen block near cafe and the furniture. There are two kinds of room lighting systems used in the interior: strong functional light at the working and sporting areas and an intimate one in the cafe.

Sports and wellness center is intended not only for those concerned with their health, but also for those straying into the park to sit down and relax a bit on the terrace or the cafe.



„ეს ჩემი საუკეთესო ნამუშევარია“

ფრენკ გიერი


„The best thing I’ve ever done“ - ასე აფასებს თავის ნამუშევარს, DZ Bank-ის შენობას, გამოჩენილი არქიტექტორი ფრენკ გერი. ნაგებობა, ისევე როგორც ბრანდენბურგის ჭიშკარი ბერლინის ყველაზე ცნობილ მოედანზე - Pariser Platz-ზე მდებარეობს.

გერმანიის გაერთიანების შემდგომ წლებში მოედნისთვის შემუშავებული ქალაქგეგმარებითი კონცეფცია მოშენების მკაცრ პირობებს ითვალისწინებდა, რაც ცალკეული ნაგებობების ავტორებს განსაკუთრებულ მოთხოვნებს უყენებდა.

1995 წელს ბანკის შენობაზე გამოცხადებულ კონკურსში ფრენკ გერიმ გაიმარჯვა. გერი შეეცადა მოცემულობის პირობები მაქსიმალურად დაეკმაყოფილებინა. ფასადი მოპირკეთებულია იტალიური კირქვით. დაცულია პროპორცია ფანჯრის ღიობებსა და დახურულ სიბრტყეებს შორის. შენობის საერთო სიმაღლეც წინასწარ დადგენილ პირობებს ექვემდებარება. უკანა ფასადი, რომელიც მიმდებარე ბერენშტრასეზე გადადის, ასევე იტალიური კირქვით არის მოპირკეთებული, მთავარი ფასადისგან განსხვავებით დანაწევრებული და დინამიურია. შენობის ეს ნაწილი საცხოვრებელია.

ექსტერიერის მკაცრი, მკაფიოდ გეომეტრიული მოცულობა, ინტერიერში ფორმის, სივრცის, ფერის და მასალის ნამდვილ ფეიერვერკად გარდაიქმნება. მინით გადახურული ატრიუმი ნამდვილი ხელოვნების ნიმუშია, რომელიც მნახველზე წარუშლელ შთაბეჭდილებას და მომაჯადოებელ ეფექტს ახდენს. მართკუთხა, მკაცრად გეომეტრიულ, ხით მოპირკეთებულ შიდა ეზოში აღმოცენდება უზარმაზარი ამორფული სკულპტურული მოცულობა, სადაც 100 კაცზე გათვალისწინებული საკონფერენციო დარბაზია მოთავსებული.





მოცულობა გარედან ტიტანით არის შემოსილი. დარბაზი ორი ხილით უკავშირდება მთავარ შესასვლელს. ორ დონიანი შიდა ეზო კონფერენციების და მიღებებისთვის არის გათვალისწინებული.

ატრიუმის ქვედა დონის იატაკი წითელი ხალიჩით არის დაფარული, რაც განსაკუთრებულ საზემო ატმოსფეროს ქმნის, ხოლო ამერიკელი მოქანდაკის, ნიკოლას ვანშტაინის, თეთრი მინის სკულპტურული ობიექტები, რომლებიც ღრუბლებს მოგვაგონებენ, ორგანულად ერწყმიან როგორც გერის ასევე სკულპტურულ არქიტექტურას.

ატრიუმის გადახურვა არა მარტო ესთეტიური თვალსაზრისით, არამედ კონსტრუქციულადაც შედევრს წარმოადგენს (კონსტრუქტორი იორგ შლაიხი). გადახურვა შესასვლელ ნაწილში ბრტყელია, შემდეგ თანდათან იწვეს სიმაღლეში, ბოლოს კი ერთ წერტილში იყრის თავს.

61 მ სიგრძის და 20 მ სიგანის ატრიუმზე 200 ტონიანი კონსტრუქცია, მხოლოდ 16,5 მეტრით ერთმანეთისგან დაშორებულ 8 კონსოლზეა დაკიდებული. მთელი კონსტრუქცია, შემაკავშირებელი ელემენტების ჩათვლით, უჟანგავი ფოლადისგან დამზადდა.

DZ Bank-ის სრულიად უნიკალური ნაგებობის შემქმნელი არქიტექტორი ფრენკ გერი (Frank O. Gehry) 1929 წელს დაიბადა კანადის ქალაქ ტორონტოში. მისი ნამდვილი სახელია ფრენკ ეფრაიმ გოლდბერგი. გერი სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლას იწყებს ჰარვარდის უნივერსიტეტის არქიტექტურულ ფაკულტეტზე, ხოლო შემდგომ გადადის ლოს ანჯელესის უნივერსიტეტში. 1962 წელს გერი კალიფორნიის ქალაქ ვენისში აარსებს საკუთარ არქიტექტურულ სახელოსნოს. ფრენკ გერი დეკონსტრუქტივიზმის ყველაზე გამოჩენილ წარმომადგენლად ითვლება. გერის ცნობილი ნამუშევრებია - ვიტრა-დიზაინის მუზეუმის შენობა გერმანიაში, ქალაქ Weil am Rhein-ში და რა თქმა უნდა გუგენჰაიმის მუზეუმი ესპანეთის ქალაქ ბილბაოში.

1990 წელს გერი დაჯილდოვდა პრიტცკერის (Pritzker Prize) არქიტექტურული ჯილდოთი, ხოლო 1999 წელს American Institute of Architects-ის ოქროს მედლით. გერის არქიტექტურულ-სკულპტურული ნამუშევრები თავიანთი რთული კონფიგურაციით, განვითარების რთულ ეტაპებს გადიან - კუბური ფორმების "თამაშიდან", ურთულესი კომპიტირული პროგრამების საშუალებით საბოლოო სახის ჩამოყალიბებამდე.


შენიშვნა:

Pritzker-Prize - პრიტცკერის ჯილდო, მსოფლიოში ყველაზე მნიშველოვანი ჯილდოა არქიტექტურაში. ეს ჯილდო 1979 დაწესდა, სასტუმრო Hyatt-ის მფლობელის, Jay A. Pritzker-ისა და მისი მეუღლის სინდის მიერ, ხოლო მათი გარდაცვალების შემდეგ ამ საქმიანობას Hyatt-ის ფონდი აგრძელებს.

საპე. კორეაპონდენტი ბარლინიდან
ქათეპან ოფიშეი
ფოტო ქათეპან ოფიშეილისა







“The Best Thing I’ve Ever Done”

FRANK O. GEHRY

„The best thing I’ve ever done“ – this is how architect Frank O. Gehry evaluates one of his works – DZ Bank office.

The building is located in Parizer Platz, nearby Brandenburger Tor.

In the years following reunion of West and East Germany, Parizer Platz development plan posed a special challenge to architects.

The competition on DZ Bank office project, launched in 1995, was won by Frank O. Gehry, who was most efficient in his efforts to satisfy the requirements in place.

Facade of the construction is clad in Italian limestone. Proportions of window openings and closed spaces, as well as general height of the building are in strict conformance with each other and the preliminarily set conditions.

The reverse facade, opening onto Baerenstrasse, is also faced with Italian limestone, but differs from the main facade with segmentation and dynamics. This part of the building represents a residential complex.

Austere geometrical forms of the exterior are reversed into a firework of colours and materials on the inside. Glazed atrium is a real masterpiece, leaving an indelible impression on a visitor. In the middle a rectangular, wood-clad inner courtyard there rises an amorphous titan-coated sculptural form, accommodating a 100-seat conference hall arranged inside and connected with the main entrance by two bridges.

Deep red colour of the carpet, covering the lower floor of the atrium and white cloud-like glass sculptures of American sculptor Nicolas Weinstein, efficiently matching the sculptural architecture of Gehry, enliven the atmosphere and give it a tinge of festivity to.

Atrium roofing, designed by constructor Iorg Schleich, is perfect both from the artistic and engineering point of view. The roof – flattened over the entrance, gradually rises to reach its culmination in one point. 200-ton stainless steel construction, covering 61m long and 20m atrium, is reinforced by no more 8 consoles, positioned at a 16,5 meters’ distance from each other.

Frank O. Gehry (Frank Efraim goldberg), author of this unique building, was born in 1929 in Toronto, Canada. Gehry received his architectural education at the architectural faculty of Harvard and Los Angeles Universities. In 1962 Gehry opened his own architectural studio in Venice, California.

Frank O. Gehry is considered as one of the most prominent representatives of constructivist style. Gehry’s most important works are Vitra-design Museum building in Weil-am-Rein, Germany and, of course, Guggenheim Museum in Bilbao, Spain.

In 1990 Gehry was awarded with Pritzker Prize, and in 1999 he received a gold medal of the American Institute of Architects.

Frank O. Gehry’s complex architectural-sculptural works show gradual development from the intricate play of cubic forms to complex design, based on advanced computer technologies.

NOTE:

Pritzker Prize - the highest architectural award of the world, was established in 1979 by the owner of Hyatt network Jay A Pritzker and his wife Sindy. After their death, the ward business is continued by Hyatt Foundation.

KETEVAN ODISHVILI,
SPECIAL CORRESPONDENT FROM BERLIN
PHOTO BY KETEVAN ODISHVILI



„The best thing I've ever done“ - ასე აფასებს თავის ნამუშევარს, DZ Bank-ის შენობას, გამოჩენილი არქიტექტორი ფრენკ გერი. ნაგებობა, ისევე როგორც ბრანდენბურგის ჭიშკარი ბერლინის ყველაზე ცნობილ მოედანზე - Pariser Platz-ზე მდებარეობს.

გერმანიის გაერთიანების შემდგომ წლებში მოედნისთვის შემუშავებული ქალაქგეგმარებითი კონცეფცია მოშენების მკაცრ პირობებს ითვალისწინებდა, რაც ცალკეული ნაგებობების ავტორებს განსაკუთრებულ მოთხოვნებს უყენებდა.

1995 წელს ბანკის შენობაზე გამოცხადებულ კონკურსში ფრენკ გერიმ გაიმარჯვა. გერი შეეცადა მოცემულობის პირობები მაქსიმალურად დაეკმაყოფილებინა. ფასადი მოპირკეთებულია იტალიური კირქვით. დაცულია პროპორცია ფანჯრის ლიობებსა და დახურულ სიბრტყეებს შორის. შენობის საერთო სიმაღლეც წინასწარ დადგენილ პირობებს ექვემდებარება. უკანა ფასადი, რომელიც მიმდებარე ბერენშტრასეზე გადადის, ასევე იტალიური კირქვით არის მოპირკეთებული, მთავარი ფასადისგან განსხვავებით დანაწევრებული და დინამიურია. შენობის ეს ნაწილი საცხოვრებელია.

ექსტერიერის მკაცრი, მკაფიოდ გეომეტრიული მოცულობა, ინტერიერში ფორმის, სივრცის, ფერის და მასალის ნამდვილ ფეიერვერკად გარდაიქმნება. მინით გადახურული ატრიუმი ნამდვილი ხელოვნების ნიმუშია, რომელიც მნახველზე წარუშლელ შთაბეჭდილებას და მომაჯადოებელ ეფექტს ახდენს. მართკუთხა, მკაცრად გეომეტრიულ, ხით მოპირკეთებულ შიდა ეზოში აღმოცენდება უზარმაზარი ამორფული სკულპტურული მოცულობა, სადაც 100 კაცზე გათვალისწინებული საკონფერენციო დარბაზია მოთავსებული.





მოცულობა გარედან ტიტანით არის შემოსილი. დარბაზი ორი ხილით უკავშირდება მთავარ შესასვლელს. ორ დონიანი შიდა ეზო კონფერენციების და მიღებებისთვის არის გათვალისწინებული.

ატრიუმის ქვედა დონის იატაკი წითელი ხაღჩით არის დაფარული, რაც განსაკუთრებულ საზემო ატმოსფეროს ქმნის, ხოლო ამერიკელი მოქანდაკის, ნიკოლას ვანშტაინის, თეთრი მინის სკულპტურული ობიექტები, რომლებიც ღრუბლებს მოგვაგონებენ, ორგანულად ერწყმიან როგორც გერის ასევე სკულპტურულ არქიტექტურას.

ატრიუმის გადახურვა არა მარტო ესთეტიური თვალსაზრისით, არამედ კონსტრუქციულადაც შედევრს წარმოადგენს (კონსტრუქტორი იორგ შლაიხი). გადახურვა შესასვლელ ნაწილში ბრტყელია, შემდეგ თანდათან იწვეს სიმაღლეში, ბოლოს კი ერთ წერტილში იყრის თავს.

61 მ სიგრძის და 20 მ სიგანის ატრიუმზე 200 ტონიანი კონსტრუქცია, მხოლოდ 16,5 მეტრით ერთმანეთისგან დაშორებულ 8 კონსოლზეა დაკიდებული. მთელი კონსტრუქცია, შემაკავშირებელი ელემენტების ჩათვლით, უჟანგავი ფოლადისგან დამზადდა.

DZ Bank-ის სრულიად უნიკალური ნაგებობის შემქმნელი არქიტექტორი ფრენკ გერი (Frank O. Gehry) 1929 წელს დაიბადა კანადის ქალაქ ტორონტოში. მისი ნამდვილი სახელია ფრენკ ეფრაიმ გოლდბერგი. გერი სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლას იწყებს ჰარვარდის უნივერსიტეტის არქიტექტურულ ფაკულტეტზე, ხოლო შემდგომ გადადის ლოს ანჯელესის უნივერსიტეტში. 1962 წელს გერი კალიფორნიის ქალაქ ვენისში აარსებს საკუთარ არქიტექტურულ სახელოსნოს. ფრენკ გერი დეკონსტრუქტივიზმის ყველაზე გამოჩენილ წარმომადგენლად ითვლება. გერის ცნობილი ნამუშევრებია - ვიტრა-დიზაინის მუზეუმის შენობა გერმანიაში, ქალაქ Weil am Rhein-ში და რა თქმა უნდა გუგენჰაიმის მუზეუმი ესპანეთის ქალაქ ბილბაოში.

1990 წელს გერი დაჯილდოვდა პრიტცკერის (Pritzker Prize) არქიტექტურული ჯილდოთი, ხოლო 1999 წელს American Institute of Architects-ის ოქროს მედლით. გერის არქიტექტურულ-სკულპტურული ნამუშევრები თავიანთი რთული კონფიგურაციით, განვითარების რთულ ეტაპებს გადიან - კუბური ფორმების "თამაშიდან", ურთულესი კომპიტერული პროგრამების საშუალებით საბოლოო სახის ჩამოყალიბებამდე.

შენიშვნა:

Pritzker-Prize - პრიტცკერის ჯილდო, მსოფლიოში ყველაზე მნიშველოვანი ჯილდოა არქიტექტურაში. ეს ჯილდო 1979 დაწესდა, სასტუმრო Hyatt-ის მფლობელის, Jay A. Pritzker-ისა და მისი მეუღლის სინდის მიერ, ხოლო მათი გარდაცვალების შემდეგ ამ საქმიანობას Hyatt-ის ფონდი აგრძელებს.

საპეც. კორეაპონდენტი ბარლინიდან
ქათივან ოდიშელი
ფოტო ქათივან ოდიშელისა







“The Best Thing I’ve Ever Done”

FRANK O. GEHRY

„The best thing I’ve ever done“ – this is how architect Frank O. Gehry evaluates one of his works – DZ Bank office.

The building is located in Parizer Platz, nearby Brandenburger Tor.

In the years following reunion of West and East Germany, Parizer Platz development plan posed a special challenge to architects.

The competition on DZ Bank office project, launched in 1995, was won by Frank O. Gehry, who was most efficient in his efforts to satisfy the requirements in place.

Facade of the construction is clad in Italian limestone. Proportions of window openings and closed spaces, as well as general height of the building are in strict conformance with each other and the preliminarily set conditions.

The reverse facade, opening onto Baerenstrasse, is also faced with Italian limestone, but differs from the main facade with segmentation and dynamics. This part of the building represents a residential complex.

Austere geometrical forms of the exterior are reversed into a firework of colours and materials on the inside. Glazed atrium is a real masterpiece, leaving an indelible impression on a visitor. In the middle a rectangular, wood-clad inner courtyard there rises an amorphous titan-coated sculptural form, accommodating a 100-seat conference hall arranged inside and connected with the main entrance by two bridges.

არქიტექტორების კახა დეკანოიძისა და და გიორგი ფერაძის პროექტით შექმნილ საოფისე ინტერიერის დიზაინში, დახვეწილი ფუნქციურითა და ლამაზი საგნებით შექმნილი ცალკეული მონაკვეთი განსაკუთრებული ხიბლის მატარებელია. მშვენიერი, ესთეტიკურის აღქმით არ შემოიფარგლება, რადგან იგი მრავალმხრივია და მოაზრებულ, კონკრეტულ მატერიალად გარდაქმნას მოითხოვს. დიზაინში დეტალები არაორდინალური გამოვლინებით გამოირჩევა და მთლიანობის გამომხატველობითი ხასიათის განმსაზღვრელი ხდება. იგი ხილული თუ უხილავი ბარიერებით შექმნილ მსუბუქ ერთიანობას წარმოადგენს, სადაც საერთო ფერიტი გაბა დეკორატიული აქსესუარების, ფუნქციურის მკვეთრი ტონებითაა აქცენტირებული. ადვილი წარმოსადგენია, რა სასიამოვნო იქნება ადამიანებისათვის აქ თავშეყრა, ურთიერთობა და საქმიანობა.

61670 ლალიძე







Office Interior


Nowadays, an efficiently designed public space offers not just comfort, but above all originality and a distinctive character, transforming the outside life according to its own laws.

Light and integral office interiors, created by architects Kakha Dekanoidze and Giorgi Peradze - skillful designs with tasteful decoration and refined furniture and a variety of physical and virtual barriers, formed by coloring, accessories and furniture shapes - form a perfect, unforgettable atmosphere for work and interaction.

NINO LAGHIDZE








ფორმათა სახესხვაობა

პატარა სახლი ქალაქის გარეუბანში, ახალგაზრდა არქიტექტორის ნათია გოქაძის პროექტის მიხედვით განხორციელებული, ერთ-ერთი ახალი ობიექტია. აქ მოცულობითი კომპოზიციები მასისა და სივრცის ურთიერთობით ხასიათდება. ფორმანარმოქმნელ საწყისს სკულპტურული, ცოცხალი მასა წარმოადგენს. სივრცე კი კომპოზიციურად ექვემდებარება მას. არქიტექტორი, უმთავრეს ადგილს ფორმების სახესხვაობას, ადამიანისათვის განსაზღვრულ, ემოციურად დატვირთული გარემოს შექმნას უთმობს. ინტერიერში თანამედროვე თუ ტრადიციული არქიტექტურული დეკორის ყოველი ფრაგმენტი მნიშვნელოვან დატვირთვას იღებს. ელემენტურობა ნატიფ ნიუანსებშია განსხვავებული. დიზაინის სახე დეკორის მოტივებით, მოცულობითი და პლასტიური გადაწყვეტებით, რითმებით იქმნება. თითოეულ ფრაგმენტში ახლის, თანამედროვეობის სულიერება შეიგრძნობა და ერთიანი სივრცის განსაკუთრებული, მყუდრო ატმოსფერო სასიამოვნო ურთიერთობებისთვის განგვანყობს.

ნათია გოქაძე შემოქმედებითი გზის დასაწყისშივე, ღრმად სწვდება რეალიზმს და სწორად აღიქვამს სამყაროს სულიერ დიალექტიკას. ამის დასტური, მის მიერ ფოტოფირებზე აღბეჭდილი მეტყველი ფრაგმენტებია. ნათიას შემოქმედებითი მანერა, ისევე, როგორც მოცულობითი არქიტექტონიკის გადანწყვეტისას, აქაც ლაკონურია, მაგრამ განსაკუთრებული პოეტურობითაა გაჟღენთილი. ეს კი, თითოეულ ნამუშევარს განუმეორებელ ხიბლს ანიჭებს, მხასველში სრულიად განსხვავებულ შეგრძნებებს იწვევს. მხატვრული მთლიანობა და მუსიკალურობა თვითმყოფადობის ესთეტიკას წარმოშობს და ბუნებაში წარმოქმნილ მყისიერებას მარადიულს ხდის.

ნინო ლაღიძე
ფოტო: ნათია გოქაძე





Diversity of Forms

In this small city suburb house, realized according to the project by young architect Natia Gokadze, volumetric compositions are characterized with special interrelation of mass and space. The author's goal is to create an emotionally charged environment, attaching primary importance to diversity of forms and providing of special background meaning to modern and traditional architectural decor. Overall design comprises innovative, modern-style decorative motives, volumetric and plastical solutions and rhythms, merging into a comfortable, positive atmosphere.

Natia Gokadze's deep perception of reality and spiritual dialectics of the world shows itself with equal clarity in her photos. Both in architecture and in photography, Natia's style is terse but poetic, endowing each work with specific charm and emotional coloring, integrity and melodiousness.

NINO LAGHIDZE
PHOTO BY NATIA GOKADZE



არქიტექტურული სივრცის ორგანიზება

არქიტექტურული სივრცის გააზრებულად ორგანიზება, მასში ფერისა და მასალის ჰარმონია, ოსტატურად მოფიქრებული და გადანაწილებული განათების დიზაინი, ინტერიერის საერთო სტილისტურ გადანაწილებასთან შესაბამისი ფურნიტურა, გემოვნებით შერჩეული ტექსტილი და აქსესუარები...

არქიტექტორი დავით ხურცილავა თითოეულ მოცემულ ამოცანას, ორიგინალური იდეების შემოთავაზებით და მათი წარმატებულად განხორციელებით, კონკრეტულ



ობიექტზე მუშაობისას წყვეტს. უზადო დიზაინი გილისხმობს საერთო იდეითა და თემით გამთლიანებული ჰარმონიული ინტერიერული სახის შექმნას, რომელშიც დეტალურადაა გათვლილი ყოველი ნიუანსი და გათვალისწინებულია დამკვეთის მოთხოვნები.

დავით ხურცილავას პროექტით შესრულებული, ამჟერად წარმოდგენილი „ტაობანკის“ ფილიალთა ინტერიერები თვითმყოფადია, დახვეწილი, ზომიერი დეკორით გამოირჩევა და შესაბამისად, თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში კომ-

ფორტული, მყუდრო სამუშაო გარემო წარმოიქმნება. ფერი, ინტერიერის ხასიათის შესაბამისად, ტონალურ ნიუანსებში ლავირებს და ამგვარი ლაკონური ოპტიმალური ანტურაჟი, საგნობრივი გარემოსთვის არაჩვეულებრივ ფონს ქმნის. ინტერიერის ელემენტებში ფურნიტურისა და აქსესუარების დახვეწილ დეკორში ვლინდება. თანამედროვეობის სულისკვეთება, ავტორის პროფესიონალიზმი, ყოველ ფრაგმენტში შეიგრძნობა.

ინაო ლალიძე







ელეგანტური ანტურაჟი

მსოფლიოში აღიარებული ბრენდის Bugatti-ს ახალი მაღაზია-სალონის ინტერიერი დახვეწილი, ზომიერი დეკორით გამოირჩევა. დიზაინი Bugatti-ს შესაბამისი სართაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით შეიქმნა. ფერი, ინტერიერის ხასიათის შესაბამისად, ტონალურ ნიუანსებში ლავირებს და ამგვარი ლაკონური, ოპტიმალური ანტურაჟი საგნობრივი გარემოსათვის არაჩვეულებრივ ფონს ქმნის. ინტერიერის ელეგანტურობა ფურნიტურის, აქსესუარების არაორდინალურ დეკორში ვლინდება, დახვეწილ სტილს დეკლარირებს და მათთვის, ვისაც ძალუძს სილამაზე გადაჭარბებული თეატრალურობისა და პრეზენტაბელურობის გარეშე შეაფასოს, წარმოდგენილი დიზაინის ესთეტიკა მეტად ახლობელია.

ნიმუ ლალიძე





საცხოვრებელი დუბლექსი მანსარდაში

პროექტის ავტორები: ზურაბ და დავით ნიკოლაიშვილები

თავისუფალი და ლაკონური ერთიანი ატმოსფერო ვიზუალურად გაზრდილია, ხისტ საზღვრებს სცდება და გარემოსთან ორგანულადაა შერწყმული.

იდეის გარეგნული მოჩვენებითი „სიმარტივე“ გააზრებულ ფუნქციონალიზმთან და კო-

მფორტანაა შერწყმული. ამგვარად იქმნება „პიროვნულობისკენ“ მიმართული საცხოვრებლის დიზაინი. ეს სტილი ძალზედ მოსახერხებელია სივრცის შემდგომი გარდასახვისათვის, რადგან დიზაინი, პრაქტიკულად, ხელოვნის მიერ შექმნილ, ნებისმიერ დეტალს „ით-

ვისებს“: ეს დეტალები და აქსესუარები „საკუთარი“, განსაზღვრული ადგილების დაკავებით ინტერიერს დასრულებულ სახეს აძლევს და ამით განუმეორებელ, საცხოვრებელ ატმოსფეროს ქმნის.

ნიმუ ლალიძე




Residential interior

This time, we have an opportunity to describe several realized residential interior designed by Zurab and David Nikolaishvili.

The distinguishing traits of their architecture are flexibility, originality and elegance, forming an inspiring environment tailored to meet the require-

ments of a family intending to live therein. Seeming simplicity of the concept is merged with functionality and comfort, allowing further "personalization" and creation of a unique living atmosphere.

NINO LAGHIDZE





ძვ.წ. V ს., ძალის მდიდრული სამარხი, ბერძნული ნაპროპოლი. 5th century B.C. – rich woman's tomb; Greek necropolis
1. ოქროს საყურავები. Golden earrings
2. ვერცხლის სამაჯურები. Silver bracelets

უკვე რვა წელი შესრულდა, რაც მუშაობა დაიწყო პირველმა ქართულ-ბრიტანულმა ექსპედიციამ ფიჭვნარში. ფიჭვნარი მდებარეობს აჭარაში, ჩოლოქისა და ოჩამურის შესართავთან, ქობულეთის ჩრდილოეთით.

ფიჭვნარის ძველი ისტორიული სახელი ჩვენთვის უცნობია. მისი სახელწოდება უკავშირდება შავი ზღვის ზოლზე შემორჩენილ ენდემურ ფიჭვის ხეებს. ამ ტერიტორიაზე დასახლება ბრინჯაოს ხანიდან ჩნდება. ძვ.წ. VIII-VII სს. დიუნური დასახლება ადრერკინის ხანის კულტურას ასახავს სამსხვერპლო და შესანიშნავი მოედნებითა და საკურთხევლებით. მოსახლეობა უფრო შექმნილი ხდება ძვ.წ. V საუკუნიდან, ბერძნული კოლონიზაციის პერიოდში, როცა სავაჭრო და კულტურული ურთიერთობები განმტკიცდა აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთსა და ელინისტურ სამყაროს შორის. სწორედ ამავ პერიოდის, ძვ.წ. V და IV საუკუნეების სამი სამაროვანი 20 ჰა ფართობზეა გადაჭიმული, ხოლო უძველეს დასახლებებს დაახლოებით 100 ჰა ტერიტორია უკავია.

1948 და 1952 წწ.-ში ფიჭვნარში შემთხვევით იქნა აღმოჩენილი მონეტების განძი, რამაც არქეოლოგების ყურადღება მიიქცია და 50-იან წლებში აქ მცირე მასშტაბის არქეოლოგიური სამუშაოები ჩატარდა.

რანინო ხოშტარია (ივ.ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტი), ხოლო 1966 წლიდან ფიჭვნარში დაიწყო სისტემური გათხრები ბათუმის ნ. ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო ინსტიტუტის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ პროფესორ ამირან კახიძის ხელმძღვანელობით. ექსპედიციის მიერ მიკვეთულ იქნა ძვ. წ. V-IV სს. 500-მდე სამარხი, მათ შორის იყო მდიდრული სამაროვანი ოქროს ცვარას ტიქნიკით შესრულებული ნატიფი სასაფეთქლები, (რომლის ასლი დღეს ოქსფორდის აშშ-ის მუზეუმში ინახება, თვით ნივთი კი ბათუმის ბანკის სეიფშია საიმედოდ დაცული), ვერცხლის ჭურჭელი, „ნიობიდების“ მხატვრის მიერ მოხატული იშვიათი მოხდენილობის კრატერი და სხვა ფუფუნების საგნები. ექსპედიცია წარმატებით მუშაობდა 30 წლის განმავლობაში, მაგრამ საბჭოთა იმპერიის ნგრევა 1991 წლიდან, ცხოვრების ყველა სფეროს შეეხო და სახსრების არ არსებობის გამო 1990 წელს ექსპედიციამ მუშაობა შეწყვიტა.

ფიჭვნარის ექსპედიციის კვლავ აღორძინება ამ რთულ პერიოდში უკავშირდება პროფესორ მაიკლ ვიკერსის სახელს.

ჩემი მეუღლე, მაიკლ ვიკერსი პირველად საქართველოში 1994 წელს ჩამოვიდა, როცა ქვეყანაში ჯერ კიდევ კომუნდანტის საათი მოქმედებდა. არქე-

საქართველო-ბრიტანეთის ერთობლივი არქეოლოგიური ექსპედიცია ფიჭვნარში



ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი მანანა ოდიშელი. ოქტომბერი 2007

ოლოგიის დოქტორის დარეჯან კაჭარავას ოჯახში მან პირველად შეიგრძნო ქართული სტუმართმოყვარეობა და კიდევ უფრო გააღრმავდა ქართული კულტურისადმი ინტერესი. მის ერთ-ერთი ჩამოსვლისას, ჩვენ გავემგზავრეთ ბათუმში, სადაც პროფესორმა ამირან კახიძემ გააცნო მაიკლს ფიჭვნარის ისტორია და მისი შესწავლის აუცილებლობა. მაშინვე დაიბადა თანამშრომლობის იდეა. აშშ-ის მუზეუმში, სადაც მაიკლ ვიკერსი ბერძნულ-რომაული სიძველეების მცველია, საერთაშორისო ექსპედიციებ-

ის დიდი გამოცდილება აქვს. მუზეუმისა და ოქსფორდის უნივერსიტეტის ჯეზუს კოლეჯის თანადგომით, 1998 წელს პირველად შედგა ექსპედიცია ქართული და ინგლისური მხარეების მონაწილეობით. თანხები გაიღო ოქსფორდის უნივერსიტეტმა, ბრიტანეთის აკადემიამ, ბრიტანეთის არქეოლოგიურმა ინსტიტუტმა ანკარაში, ოქსფორდის კრავენ კომიტეტმა, მარჯორი უორდროპის ფონდმა.

ჩვენი ექსპედიციის მუშაობა ორი მიმართულებით წარმოებს: ნეკროპოლის და ნაქალაქარის მიდამოებში.


ფიჭვნარის ნეკროპოლის გათხრას უდიდესი გამოცდილება და სიფრთხილე სჭირდება, რაშიც ქართველი არქეოლოგები უაღრესად არიან დახელოვნებულები. ოსტატობით ხდება სამარხი მასალის გამოვლენა, მათი ფოტოფიქსაცია და კონსერვაცია. გათხრების სპეციფიკის შესწავლაში უცხოელი სტუდენტები საოცარ წარმატებებს აღწევენ უხვი აღმოჩენებით. ამ 8 წლის განმავლობაში 30-ზე მეტი სტუდენტი მონაწილეობდა ფიჭვნარში ოქსფორდის უნივერსიტეტის ჯეზუს, სენტ ჯონის, სომერვილის, კიბელ კოლეჯებიდან, კემბრიჯის უნივერსიტეტიდან, ბელგიის, პოლანდიის, გერმანიის და ჩეხეთის სხვადასხვა უნივერსიტეტებიდან.

სამაროვანი უხვად შეიცავს ძვ. წ. 5-4 სს. ბერძნულ და კოლხურ თიხის ჭურჭელს, სამკაულს, ამულეტებს, მინის სანელსაცხებლე ჭურჭელსა და მძივებს. ფიჭვნარის სილიანი ნიადაგის გამო, ჟანგბადი ღრმად აღწევს ნიადაგში და დროთა განმავლობაში ხდება ორგანული ნივთიერებების სრული წვა, რის გამოც მიცვალებულთა სკელეტონი მთლიანად არის გამქრალი, იშვიათად გვხვდება თითო-ორი კბილი, რომელშიც ეგრეთწოდებული „ქართონის ობოლი“ ჰქონდათ მოთავსებული. ეს ტრადიცია ამიერკავკასიაში მხოლოდ ფიჭვნარში დასტურდება და აქ ძველი ბერძნების არსებობაზე მიუთითებს. ბერძნული ტრადიცია დასტურდება აგრეთვე ჩვილი ბავშვების ამფორებში დამარხვის წესის არსებობით ფიჭვნარის სამაროვანზე.

ბერძენთა სამარხები განსხვავდება კოლხების სამარხებისაგან, მათი რეგულარული დამხრობით აღმოსავლეთისაკენ. კოლხურ სამაროვანზე სამარხი ორმოები უმეტესად წრიულია და მომცრო ზომისაა. ბერძნები კი იმარხებოდნენ გაჭიმულ პოზაში, რკინის და იშვიათად სპილენძის ლურსმნებით შეჭედ-



ექსპედიციის უზოში: მარცნიდან: ამირან კახიძე, ბრუზ, მირანდა, ალესანო ჩიკვაიძე - აჭარის კულტურის მინისტრი, მერი, ოლგა, კლაუდიო, მანანა ოდიშელი, მიქაელ ვიკერსი, 2007 წ. Expedition courtyard (from the left): Amiran Kakhidze, Greg, Miranda, Alex Chikvaidze – the Minister of Culture of Ajara, Mary, Olga, Claudio, Manana Odisheli, Michael Vickers (2007)



1. ლეკითოსი, ძვ. წ. V ს.; მდიდრული სამარხი, 2007 წ. Lecythus, 5th century B.C.; a rich tomb (2007); 2. შავფიფურული ოინოსი, ძვ. წ. V ს. A vessel with black ornaments; 5th century B.C.; 3. კანთაროსი, გათხრის პროცესი, ფიჭვნარი, 2007 წ. Cantharus; excavation process, Pichvnari (2007); 4. ამფორა, ძვ. წ. V ს. Amphora; 5th century B.C.

ილ ხის სასახლეში. ბერძნულ სამარხებში ჭარბობს ატიკური შავლაქიანი ჭურჭელი, სავაჭრო დამღიანი ამფორები, კოლხური სამარხები კი გამოირჩევა კოლხური ჭურჭლის და სამკაულის სიუხვით, თუმცა ბერძნული კერამიკის არსებობა მათ შორის სავაჭრო ურთიერთობების დამადასტურებელია. ბერძნულ სამაროვანზე რეგულარულად გვხვდება საალაპო ადგილები დამწვარი და სავანგებოდ დამტვრეული ჭურჭლით, სადაც საჭირისუფლო პურობა იმართებოდა, შესანიშნავი მიცვალებულის სახელზე იწვებოდა და დაცლილი სასმისები იმტვრეოდა. ერთ-ერთი საალაპოდან იქნა აღდგენილი 1998 წ. აღმოჩენილი შავლაქიანი კილიკი ბერძნული წარწერით, რომელიც ალბათ მისი მფლობელის სახელს გვაძლავს - დიონისიოს ლაოდამანტოს. ეს და სხვა ბერძნული წარწერები უტყუარად მოწმობს ბერძნული ეთნოსის არსებობას ფიჭვნარის მიწაზე.

აღსანიშნავია, რომ სამარხებში სრულიად არ გვხვდება საბრძოლო იარაღი, რაც უეჭველად მეტყველებს იმაზე, რომ ძირძველი კოლხი მოსახლეობა და ახალმოსული ბერძნები მშვიდობიანად თანაარსებობდნენ ურთიერთსასარგებლო პირობებში.

ძვ. წ. IV საუკუნის სამარხები ბერძნულ-კოლხური ურთიერთობების შემდგომი ეტაპის სურათს გვაჩვენებს, როცა ეთნიკური განსხვავებები სამარხის ინვენტარის და დაკრძალვის წესის მიხედვით, უკვე ნაშლილია. კოლხური ჭურჭელი ბერძნული ჭურჭლის ფორმების გავლენას განიცდის, პროცენტულად თანაბარი ხდება ადგილობრივი და იმპორტული კერამიკის გამოყენება - ცხადია, მოსახლეობის ელინიზირების პროცესი და შესაძლოა პირიქით, მოსული ბერძნების „კოლხიზაცია“.

ჩვენი ექსპედიციისათვის მოულოდნელი იყო ახ. წ. V საუკუნის რამოდენიმე სამარხის აღმოჩენა, რომელიც ლაზთა სამეფოს აღმავლობის ხანას უკავშირდება. ძვ.წ. V ს. ბერძნული სამარხები თითქმის 10 საუკუნის შემდეგ კვლავ სამარხებად გამოუყენებიათ. მიცვალებულისთვის ჩაუტანებიათ საბრძოლო იარაღი, ღვინის ჭურჭლები და ლანგრები, მინის და კაჟის ავეგაროზები რაც გვაფიქრებინებს, რომ ზოგი სამარხი მეომრის უნდა ყოფილიყო. შარშან აღმოჩნდა ქალის სამარხიც. მასში შესანიშნავი მინის და ძონის ჩანართებით დეკორირებული ოქროს საკიდი და გულსაბნევი აღმოჩნდა. ახ.წ. IV-V -ის ძველი სამარხების მინისზედა ნიშნები გამჭრიალია. ჩვენ არ ვიცით როგორი იყო სასაფლაოს მინისზედა სურათი, მხოლოდ ერთი სტელის ფრაგმენტია მიკვლეული გათხრების შედეგად, სავარაუდოა, რომ ქვის სტელები დროთა განმავლობაში ახალ სამშენებლო საქმიანობისთვის გამოიყენეს. რადგან ეს მხარე ქვით არ არის მდიდარი, საფიქრალია, რომ უმეტეს სამარხებზე ხის სტელები იყო აღმართული.

მდინარის გადაღმა, ნამოსახლარის ტერიტორიაზე, არქეოლოგიურ სამუშაოებს ხელმძღვანელობს ირაკლი ჩაველიშვილი. გათხრების მეთოდები და პირობები აქ რადიკალურად განსხვავებულია. აქ აღმოჩე-



ჯგუფური სურათი არქეოლოგიურ თხრილთან, 2007 წ. A group photo near an archaeological excavation ditch (2007)

ნილია კოლხური ტიპის ჯარგვალეები, სამეურნეო და საყოფაცხოვრებო ნივთები, კოლხური და იმპორტული ამფორები და სასმისები. უცხოურ ნაკეთობებს ადგილობრივი მოსახლეობა ფართოდ იყენებდა ყოველდღიურ საქმიანობაში, რაც ელინიზირების ცენტრებთან მათ სავაჭრო ურთიერთობებზე მეტყველებს.

სისტემურმა არქეოლოგიურმა გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ ფიჭვნარი, რომელიც ადგილობრივი და ბერძნული ცივილიზაციების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკონტაქტო ზონას წარმოადგენდა, ძვ.წ. V-IV სს-ში აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის მნიშვნელოვან სავაჭრო-სახელოსნო, საპორტო და სტრატეგიულ ცენტრად ჩამოყალიბდა.

ჯერჯერობით არ არის მიკვლეული ბერძნების საცხოვრებელი ადგილი, რაც მომავალი გათხრების ამოცანად გვესახება.

2004 წელს დაიბეჭდა „ფიჭვნარი 1“ ქართულ და ინგლისურ ენებზე. მასში 1998-2002 წწ. ერთობლივი ექსპედიციის შედეგებია გაშუქებული. დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია იხილოს ფიჭვნარის ვებსაიტი. აშშ-ის მუზეუმში ფიჭვნარის ექსპედიციის ფოტოები და ექსპონატების ასლებია გამოფენილი.

გასაკეთებელი კიდევ ბევრია და მრავალ კითხვაზე პასუხი გასაცემი. დაგეგმილია „ფიჭვნარი 2“-ის გამოსაცემად მომზადება.

მინდა მადლობა გადავუხადო ყველა იმ ორგანიზაციას და კერძო პირს, რომელიც საშუალებას გაძლევს უფრო ღრმად ჩავიხედოთ ჩვენი ქვეყნის წარსულში, გავაცნოთ იგი მსოფლიოს და ამავე დროს, გავდოთ თანამშრომლობის და მეგობრობის ხიდი საქართველოსა და ინგლისს შორის.



ფიჭვნარის ნამოსახლარი, გათხრების პროცესი
Remains of Pichvnari settlement; excavation in progress

Joint Georgian-British Archaeological Expedition in Pichvnari

MANANA ODISHELI, PH.D, ART HISTORIAN
OXFORD UNIVERSITY, 2007

Pichvnari is located to the north from Kobuleti, in Ajara Region, at the confluence of Choloki and Ochkhauri rivers. This area has been populated since the 8th-7th centuries B.C. and contains important signs of Bronze Age and early Iron Age cultures as well as the period of Greek colonization.

In 1948-1952, several treasures discovered in Pichvnari attracted the interest of archaeologists. In the 1950'ies minor architectural research was conducted in this area, and in 1966 systematic excavation works were started by archaeological expedition of Batumi N. Berdzenishvili Scientific Institute, supervised by professor Amiran Kakhidze. The expedition worked very successfully for 30 years, until 1991, when dispersal of USSR left the scientists without funds required to continue their research.

Relaunching of Pichvnari expedition in this difficult period became possible due to professor Michael Vickers, who first visited Georgia in 1994. Heartfelt hospitality of the Georgian archaeological community deepened his interest toward the local culture in spite of the dire situation which existed then in the country. The idea of joint research in Pichvnari area emerged after his personal meeting with professor Amiran Kakhidze.


კოლხური თეთრი, მონეტა ძვ.წ. ს.
სამაროვნისაგან, 2007 წ.
Colchic tetri – a 5th century B.C. coin
extracted from a tomb (2007)



არიბალუსი, სანაღსაგებლე ჭურჭელი, ძვ.წ. ს.
გერძენული ნეკროპოლი, 2007 წ. Aribalus – ointment vessel,
5th century B.C., Greek necropolis (2007)



ძვ. წ. V ს. კოლხური სამარისი, ღოქი და მძივები
A jar and beads from the 5th century B.C. Colchic sepulchre



პრეპარირებული სამარისი. A dissected sepulchre



კოლხური სამაროვნის საერთო ხედი გათხრების დასრულების შემდეგ
GENERAL VIEW OF A COLCHIC SEPULCHRE AFTER THE END OF EXCAVATION PROCESS

Ashmolean Museum, with which Michael Vickers cooperates as a guardian of Greek and Roman antiquities, possesses a great deal of experience in the sphere of international expeditions. The Museum, with the support of Jesus College, Oxford, set up its first expedition of Georgian and British scientists to Pichvnari in 1998, while necessary funding was donated by Oxford University, the British Academy, British Archaeology Institute in Ankara, Oxford Craven Committee and Marjory Wardrop Foundation.

Since then, the expedition has been working in two directions, studying the territories of Pichvnari necropolis and settlement. On-site research, involving scientists and students from Oxford and Cambridge Universities, Belgium, Holland, Germany and Czech Republic, provides important data about the interrelation of local and Greek cultures as well as trade and military activities, centered in Pichvnari in the 5th-4th centuries B.C.

In 2004, findings of the joint expedition were covered in a special publication, titled "Pichvnari-1". Pichvnari expedition runs a dedicated website, and Ashmolean Museum stores a collection of archaeological exhibits and photos, reflecting the research.

There is still a lot of work ahead – unanswered questions, uncovered materials...

Using this opportunities, we would like to thank all the organizations and individuals, who helped us to take a deeper look into the history of our country, spread this knowledge worldwide and establish links of friendship and cooperation between Georgia and the UK.



ოლგა და სულხანი პრეპარაციის პროცესში,
გერძენული სამაროვნისი
Olga and Sulxhan dissecting; Greek sepulchre



ქალის სამარისი, ძვ.წ. ს.
გერძენული სამაროვნისი, 2007 წ.
A woman's tomb, 5th century B.C.,
Greek sepulchre (2007)

ავლაბრის ქალაქგეგმარებითი კონცეფციისა და განაშენიანების გენერალური გეგმის პრეზენტაცია

2007 წლის 8 ოქტომბერს, სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასის“ მე-10 სართულზე პრეზენტაცია გაიმართა.

დეველოპერული კომპანიების „არსი“-ს, „ლიბო+“ და „სასკო“-ს ინიციატივით, 5 ოქტომბრიდან 8 ოქტომბრამდე ე.ე. ვორქშოფი მიმდინარეობდა, რომლის მიზანი, თბილისის ერთ-ერთი ძველი უბნის - ავლაბრის ქალაქგეგმარებითი კონცეფციის შემუშავება და გენერალური გეგმის (მასტერპლანის) ჩამოყალიბება იყო.

დეველოპერული კომპანიები ავლაბრის ტერიტორიაზე აღნიშნული უბნის უმეტეს ნაწილს ფლობენ. არსებული განაშენიანება კი ერთი და ორ სართულიანი ბარაკული ტიპის საცხოვრებელი სახლებით განისაზღვრება. ვორქშოპის შედეგად შემუშავებული მასტერპლანი დეველოპერებს საშუალებას მისცემს თანამედროვე სტილის შესაბამისი, კომფორტული საცხოვრებელი გარემო შექმნან.

კომპანიების მონვევით ვორქშოფში 13 უცხოელი არქიტექტორი მონაწილეობდა. მათ შორის – აშშ-დან ლანს ბრაუნი, ზივ ლავი და რობ ლინი; დიდი ბრიტანეთიდან – პაბლო იგლესიასი, თჩაიქ ჩესი და რობერტ ელკინსი; გერმანიიდან – დიტერ ფვანენშტიელი, ჰაინერ ლიმბროქი და ფელიქს ვოგელპოჰლი; ჩეხეთიდან – ოლევგ ჰამანი, პიტერ ნიუმანი და არქიტექტორები ბელგიიდან პატრიკ გოდითაიბოსი და გრიით ბლევრაცკი.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ დეველოპერულ კომპანიებს შორის ურთიერთშეთანხმება კომპანია „ლიბო+“ ინიციატივით მოხდა, ხოლო მსგავსი საკითხების გადასაწყვეტად კონკურენტი დეველოპერული კომპანიების აღიანსი პირველად შედგა.


Presentation of Avlabari Urban Planning and Development Master Plan Concept

On October 8 2007, Sheraton Metechi Palace Hotel hosted a presentation.

From October 5 to October 8, development companies Arci, Libo+ and Sasco conducted a workshop, aiming at development of Avlabari (old Tbilisi) Urban Planning and Development Master Plan. Based on the invitation of Georgian companies, there were 13 foreign architects participating in the workshop: Lance Brown, Ziv Lavi and Rob Lane from the USA, Pablo Iglesias, Tchaik Chassay and Robert Elkins from the UK, Dieter Pfannenstiel, Heiner Limbrok and Felix Vogelpohl from Germany, Oleg Hama and Peter Neuman from the Czech Republic and Patrik Goditiaboos and Greet Blervacq from Belgium.

This first instance of coordination between the competing development companies is due to the initiative of Libo+.





WISH 2007 - თბილისი საქართველო

მოგესხენებათ, თბილისის ისტორიული „აბრეშუმის გზის“ გასწვრივ, ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე მდებარეობს და როგორც სავაჭრო, სატრანზიტო ცენტრი, ჯერ კიდევ მნიშვნელოვან როლს თამაშობს.

საქართველო აძლიერებს თავის პროდასავლურ ორიენტაციას, მხარს უჭერს მოქნილი საბაზრო ეკონომიკის განვითარებას და ეკონომიკური რეფორმების განხორციელებას, ასევე სოციალური სექტორის რესტრუქტურისა და დაშლილი და ბევრწილად ფუნქციონირებად კარგული სოციალური დაცვის სისტემის განახლებას. ადევნებული ურბანული დაგეგმვისა და განახლების პოლიტიკის არსებობა დიდი რისკის ქვეშ აყენებს გარდამავალ ეტაპზე მყოფი საქართველოს ქალაქების მომავალს. ამავე დროს, ყოველივე ეს პრობლემას უქმნის განსახლების ახალ პროექტებს, რომლებიც სათანადო ურბანული ზრდისა და განვითარების განსაზღვრის აქტუალურ ინსტრუმენტს უნდა წარმოადგენდნენ.

გვსურს, გაგაცნოთ პროექტი, რომელსაც შვეიცარიული მხარე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტთან ერთად განახორციელებს.

საქმე ის გახლავთ, რომ შვეიცარიის ერთ-ერთი პრესტიჟული არქიტექტურული სკოლა - საუნივერსიტეტო ქალაქ მენდრიზის არქიტექტურის აკადემია, რომელიც თანამედროვეობის ერთ-ერთი უცნობილესი არქიტექტორის, მარიო ბოტას მიერ არის დაარსებული, ბოლო რამოდენიმე წელიწადში დედამიწის სხვადასხვა კონტინენტზე განლაგებულ ქვეყნებში ანხორციელებს პროექტებს, რომლის მიზანია ადგილობრივი ხელისუფლების და პროფესიული არქიტექტურული კადრების ჩართვა, ისეთი მნიშვნელოვანი და საჭირო პრობლემის გადაწყვეტაში, როგორცაა ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ფენების უზრუნველყოფა საცხოვრისით.

ასეთი პროექტები განხორციელდა 2003 წელს პუებლაში (არგენტინა), 2004 წელს მექსიკალში (მექსიკა), 2005 წელს ნან-ჯინ-ში (ჩინეთი), 2006 წელს იოჰანესბურგში (სამხრეთ აფრიკა) (www.wish.arch.unisi.ch), რამაც მსოფლიო საზოგადოებრიობის დიდი ყურადღება და დადებითი შეფასება დაიმსახურა.



წლებანდელი პროექტის განსახორციელებლად მენდრიზის არქიტექტურის აკადემიას შერჩეული ჰქონდა ინდოეთი, მაგრამ თბილისში მოქმედი შვეიცარიის განვითარების და თანამშრომლობის სააგენტოს ერთ-ერთი ხელმძღვანელის ბატონი ერნესტო მოროზინის ენერგიულმა ჩარევამ, მისმა პირადმა შეხვედრამ ჩვენი და შვეიცარიის უმაღლესი არქიტექტურული სკოლების, გაეროს ეკონომიკური კომისია ევროპისათვის (UNECE) ხელმძღვანელობასთან (რომელიც როგორც ერთ-ერთი პარტნიორი ჩართულია შემოთავლინებულ პროექტში), გადამწყვეტი როლი ითამაშა პროექტის განხორციელების ადგილად თბილისის შერჩევაში.

მენდრიზის არქიტექტურის აკადემიის მთავარი პარტნიორები აღნიშნული პროექტის განხორციელების პროცესში არიან:

- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი;
- SDC შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო, შვეიცარია.
- UNECE გაეროს ეკონომიკური კომისია ევროპისათვის.
- შვეიცარიის საელჩო საქართველოში.
- ქ. თბილისის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური.

პროექტის მხარდამჭერები და სპონსორები არიან:

- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (რექტორი ბატონი არჩილ მონონელიძე),
- არქიტექტურულ – სამშენებლო კომპანიები “კიდ-არქიტექტურა” (ხელმძღვანელი ბატონი ნიკა შავიშვილი) და
- სააქციო საზოგადოება “იბერია უძრავი ქონება” (ხელმძღვანელი ბატონი რამაზ მოსაშვილი).



ავტორი: შინაიშვილი იანაი



ავტორი: ლავით ბიორაბაძე



აპტორი: მხოვშილი მამუა



აპტორი: შუაპიკი პიკი



აპტორი: ჯამაშიკი ლეანი

პროექტი მიზნად ისახავს:



- სხვადასხვა ეროვნებისა და ცხოვრების სტილის მატარებელ სტუდენტებს შორის კულტურული გამოცდილების გაზიარების ხელშეწყობას კონკრეტული საგნებისა და ცხოვრებისეული საჭიროებების გარემოში მათი მოქცევით.
- თბილისში განსაზღვრული არქიტექტურული და ქალაქგეგმარებითი პროექტის განხორციელებით სოციალური განსახლების არქიტექტურული და ურბანისტული ასპექტების გაუმჯობესების ხელშეწყობა;
- სოციალურ განსახლებასთან, როგორც ქვეყნის განსახლების პოლიტიკის ნაწილით, დაკავშირებით დებატების წამოწყება და მართვა-ხელშეწყობა;
- შესაბამის ადგილობრივ დანერგვებებს შორის (ხელისუფლება, უნივერსიტეტი, საერთაშორისო ორგანიზაციები და კერძო სექტორი) ინფორმაციისა და გამოცდილების მიმოცვლის ხელშეწყობა.

იქმნა ათი სტუდენტისაგან შედგენილი ძენკვი, რომელშიც თითოეული რგოლი ორ სხვა რგოლს უკავშირდება.

28 ივლისს თბილისს შვეიცარიიდან ესტუმრა 5 სტუდენტის რომინა გრილო - იტალია, ოსკარ ანტონიო მარადიაგა - აშშ, ფილიპ რ.გ. ურესი - შვეიცარია, ჟოზე ალფრედო ურესტი გარსა - მექსიკა, ფაბრიციო ბალაბიო - იტალია) და 2 ხელმძღვანელისგან (პროფესორი მარტინო პედროცი - პროგრამის დირექტორი, შვეიცარია; პროფესორი ოტო კრაუსბეკი - თანამემწე, არგენტინა) შემდგარი დელეგაცია. უცხოელ სტუმრებს მასპინძლობდნენ სტუს არქიტექტურის, ურბანისტის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი გოჩა მიქიაშვილი; არქიტექტურის ისტორიის და თეორიის კათედრის გამგე, პროფესორი ნიკა შავიშვილი; სტუს არქიტექტურის, ურბანისტის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე პროფესორი გია ნაცვლიშვილი; გაეროს ეკონომიკური კო-

მისი ნათია ჯოხაძე, აგრეთვე, ადრევე შერჩეული 5 ქართველი სტუდენტისგან შემდგარი (დავით გიორგაძე, გიგი შუკაკიძე, ლევან ჯამაგიძე, მამუკა მახოშვილი, იანეკ შიხაშვილი) ჯგუფი.

საერთაშორისო სემინარი სოციალური მშენებლობის თემაზე, 30 ივლისიდან 5 აგვისტოს ჩათვლით მიმდინარეობდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში. ყოველი სამუშაო დღე შემოქმედებითი თვალსაზრისით მეტად დატვირთული, საინტერესო და ნაყოფიერი იყო. სემინარებზე, როგორც უცხოურმა, ასევე ქართულმა მხარემ წარმოადგინეს და განიხილეს არქიტექტურისა და ურბანისტის სფეროში სოციალური საცხოვრისის პრობლემატიკასთან დაკავშირებული მეტად საინტერესო თემები და საკითხები. გარდა ამისა, ერთი კვირის განმავლობაში, ერთად, ნატურაში, ადგილზე შესწავლილ იქნა სოციალური საცხოვრისისთვის განკუთვნილი ტერიტორიები (რაც თბილისის მერიის ურბანული განვითარების სამსახურის მიერ წინასწარ



ამ პროექტის მიხედვით, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და მენდრიზიოს არქიტექტურის აკადემიის სტუდენტებმა თავდაპირველად თბილისში, ნატურაში შეისწავლეს სოციალური საცხოვრისის განსათავსებლად მიზანშეწონილი 10 კონკრეტული ტერიტორია, რომლებიც თბილისის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის მიერ წინასწარ იქნა შერჩეული, გაეცნენ წინასაპროექტო საძიებო მონაცემებს, საყრდენ საპროექტო მა-

მისია ევროპისათვის (UNECE - Economical Commission for Europe) - ექსპერტები პროფესორები ლადო ვარდოსანიძე და ქალბა130

იქნა შერჩეული). 6 აგვისტოს, ქართველი სტუდენტები შვეიცარიელ პარტნიორებთან ერთად გაემგზავრნენ მენდრიზიოში, სადაც თვენახევრის განმავლობაში ა.წ. 22 სექტემბრამდე, ერთობლივად იმუშავეს პროექტების შექმნაზე. ერთობლივი მუშაობა 24 სექტემბერს დასრულდა დიდი გამოფენით, რომლის გახსენაზე მინეველი იყვნენ ევროპის სხვადასხვა არქიტექტურული სკოლების წარმომადგენლები. გა-



სალას, ხოლო შემდეგ კი მენდრიზიოში თითოეულმა სტუდენტმა ერთი კონკრეტული ადგილისათვის შეიმუშავა საკუთარი საპროექტო წინადადება. ამავე დროს თითოეული სტუდენტი კონსულტაციას უწევდა ერთ უცხოელ სტუდენტს მისი პროექტის განხორციელების დროს. ამგვარად შე-

მოფენამ ცხადყო, რომ შედეგს საკმაოდ დიდი რეზონანსი ჰქონდა.

4 ოქტომბერს, თბილისში, გალერეა „უნივერსის“ საგამოფენო დარბაზში მოეწყო შვეიცარიაში შექმნილი 10 პროექტის გამოფენა (ამავე პერიოდში ჩვენს დედაქალაქში გაიმართება შვეიცა-



WISH 2007 - Tbilisi, Georgia

Founded along the historic Silk Route, Georgia's capital city still plays an important role as a trade and transit center due to its strategic location at the crossroads between Europe and Asia.

Fifteen years after the break-up of the Soviet Union the country is in the process of reinforcing its prowestern orientation, promoting a market economy and implementing economic reforms, restructuring the social sector and at the same time upgrading dismantled and dysfunctional social protection system.

For Georgia while being in transition, the lack of adequate urban planning and housing policies involves great risks for the future of its cities and stands as a challenge for new housing projects, which should serve as actual instruments for the qualification of the proper urban growth and development.

We would like to draw your attention to a project, which will be implemented by the Swiss organizations in cooperation with the Faculty of Urban Planning and Design of the Georgian Technical University in Georgia.

The point is that during the last years one of the most prestigious Swiss architectural schools - Academy of Architecture of Mendrisio, founded by Mario Botta, has been implementing in the different parts of the world projects, fostering involvement of local authorities and architectural communities into settlement of such an important issue as housing of socially vulnerable members of local population.

Similar projects, implemented in Tucumán (Argentina) in 2003, in Mexicali (Mexico) in 2004, in Nanjing (China) in 2005, in Johannesburg (South Africa) in 2006 (www.wish.arch.unisi.ch), attracted a great deal of public attention worldwide.

Initially, Academy of Architecture of Mendrisio intended to implement this year's project in India, but active involvement of Ernesto Morosin, Tbilisi-based member of Swiss Agency for Development and Cooperation and his personal meetings with representatives of Georgian and Swiss architectural schools and UNECE administration (participating in the mentioned project as one of partner organizations) played a decisive role in identifying Tbilisi as a site for project implementation in 2007.

Main partners of the Academy of Architecture of Mendrisio within WISH 2007 are:

- Faculty of Urban Planning and Design, Georgian Technical University
- SDC – Swiss Agency for Development and Cooperation – Switzerland
- UNECE – United Nations Economic Commission for Europe
- Embassy of Switzerland in Georgia
- Urban Planning Department of Tbilisi Municipality.

Sponsors and supporters of the project are:

- Georgian Technical University (rector: Mr. Archil Motsonelidze)
- Architectural and construction companies: CID-Architecture (director Nik Shavishvili) and JSC Iberia Real Estate (director Ramaz Mosashvili).

Key goals of the project are as follows:

- To provide academic knowledge on social housing field to students resulting in wider professional opportunities.
- To contribute to the improvement of architectural and urbanistic qualities of social housing through the elaboration of a concrete architectural and urban project in Tbilisi.
- To initiate and contribute to debate on Social Housing as part of overall Housing Policy need in Georgia.
- To favour the knowledge-exchange between relevant local institutions (government, university, international operators, and private sector).









On July 28, Swiss side of the project sent to Georgia a delegation consisting of 5 students: Romina Grilo (Italy), Oscar Antonio Maradiaga (USA), Philipp R.W. Urech (Switzerland), Jose Alfredo Uresti Garza (Mexico) and Fabrizio Ballabio (Italy) and 2 supervisors: professors Martino Pedrozzi, programme director (Switzerland) and Otto Crausbeck, assistant (Argentina). On the Georgian side, the foreign delegation was hosted by professor Gocha Mikiashvili, dean of the Faculty of Urban Planning and Design of the Georgian Technical University, professor Nika Shavishvili, head of the Department of History and Theory of Architecture, professor Gia Natsvlishvili, deputy dean of the Faculty of Urban Planning and Design of the Georgian Technical University, professors Lado Vardosanidze and Natia Jokhadze, experts of UNECE - Economical Commission for Europe and a group of five Georgian students (David Giorgadze, Gigi Shukakidze, Levan Jamagidze, Mamuka Makhoshvili and Janek Shikhiashvili).

From July 30 to August 5, Georgian Technical University hosted international seminar on Social Housing. Each workday was very busy, interesting and beneficial. Participants presented and discussed several issues, connected with the problems of social housing, architecture and urban development and visited social housing sites, previously identified for this purpose by Urban Planning Department of Tbilisi Municipality.

On August 6, Georgian students together with their Swiss counterparts left for Mendrioso, where they worked on project development. Joint activities were concluded on September 24 by a large exhibition, opening of which was attended by representatives of different European architectural schools. The exhibition clearly showed public importance of the issue.

On October 4, exhibition hall of Universi Hallery hosted the exhibition of joint works by Georgian and foreign students. The exposition was highly evaluated by professionals.

For your information, next WISH projects will be implemented in the Near East in 2008 and in India in 2009.



ვორქშოპი „ქართული პლენერი“

პროექტის კურატორები:
კოტი ჯინჭარაძე და
ალექსანდრა ფლორენსკი



დღევანდელ ჩვენს რეალობაში, საქართველოსა და რუსეთს შორის არსებული რთული გეოპოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიური პრობლემების ფონზე ყოველი პოზიტიური ნაბიჯი, მომავალში ორ სახელმწიფოს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობების დადებითი ტენდენციების იმედს სახავს.

ახალი კონტაქტების დამყარება, კავშირების განახლება მეზობელ სახელმწიფოს სახელოვნებო სივრცის წარმომადგენლებთან, მათი შემოქმედების გაცნობა, კულტურული დიალოგის დამყარება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

ამ კონტექსტში, დაგვეთანხმებით, მეტად აქტუალურია, თანამედროვე ქართველი და რუსი მხატ-

ვრების შეხვედრები. და ერთობლივი ვორქშოპები. წელს 8-19 მაისს რაჭაში უკვე მეორედ ჩატარდა თანამედროვე ხელოვნების წარმომადგენლების „ვორქშოპი“. ამჯერად სოფელ ჭყვიშის old house მასპინძლობდა თბილისელი და პეტერბურგელი მხატვრების ერთობლივი ინიციატივას სახელწოდებით „ქართული პლენერი“.

ლონისძიებაში მონაწილეობდნენ - ერთის მხრივ, 80-90-იანი წლების რუსული ავანგარდული მიმდინარეობის ერთ-ერთი პოპულარული არტ ჯგუფის, „მიტკვების“ დამფუძნებლები, ცნობილი პეტერბურგელი მხატვრები ივან სოტნიკოვი, ალექსანდრ და ოლგა ფლორენსკები - მათ მიერ, 2003 წელს დაა-

რსებული „ფერწერისა და ხატვის მოყვარულთა საზოგადოების“ წარმომადგენლები, მეორეს მხრივ კი ჯგუფი „რესტარტი“, ქართველი მხატვრების - ვახტანგ ბულაძის, მიშა შენგელიას, მამუკა ჯაფარიძის და კოტე ჯინჭარაძის შემადგენლობით.

Rest art - დასვენება არტში შემოქმედებითად, ანუ ითარგმნება, როგორც დასვენების ხელოვნება. მეორე მხრივ, restart ახალი კომპიუტერული ტერმინია და გადატვირთვას, განახლებას ნიშნავს. ამდენად ჯგუფის სათაურის ორმაგი დატვირთვა ზუსტად მიესადაგება კოტე ჯინჭარაძის წინაპრების კარმიდამოში, უკვე მეორედ განხორციელებული პროექტის სასიათს, სადაც პირველი ვორქშოპი 2005 წელს ჩატარდა.



ლონისძიებათა მრავალფეროვანმა პროგრამამ სიხალისე შეისძინა ათდღიან ვორქშოპს. რაჭის ულამაზესი პეიზაჟებით მოხიბვლილი სტუმრები ნაყოფიერად მუშაობდნენ პლენერზე, რაც თვალნათლივ აისახა მათ მიერ შექმნილ ფერწერულ და გრაფიკულ ნამუშევრებში. ყოველ დილით, ახლომდებარე ისტორიული ძეგლებზე გაცნობითი ექსკურსიები ეწყობოდა, შემდეგ, იმართებოდა სემინარები, მასტერკლასები. იყო კამათი, დისკუსიები, აზრთა გაცვლა-გამოცვლა. მხატვრებისთვის მიულოდნელად, სოფლის საბჭოს შენობაში, ბოლო დღეს გამართულმა სპონტანურმა გამოფენამ ადგილობრივების დიდი ინტერესი გამოიწვია. კურატორებმა დამსწრეთ გააცნეს მათი ინიციატივის არსი და მიზანი, ისაუბრეს ხელოვნების როლზე არსებული რეალიზების კონტექსტში და მსგავსი კულტურული ღონისძიებების აუცილებლობაზე. ჩრდილოელმა სტუმრებმა თავიანთი ნაივური ფერწერებით, ორიგინალური ხელწერით მოხიბლეს და გაახალისეს მსახველები. ივან სოტნიკოვმა, ალექსანდრ და ოლგა ფლო-

რენსკებმა რაჭის ბუნების განუმეორებელი ლანშაფტები ასამდე ფერწერული ტილოზე, პეიზაჟებში და გრაფიკულ ნამუშევრებში გადაიტანეს. მამუკა ჯაფარიძემ სოფლის გაუქმებული ძველი სამჭედლო არტ-ივენტი გაააქტიურა, ინგლისურ პაბად გადააქცია - აი აქცია. იგი, განუყრელი ლეპტოპის დახმარებით, ჯონ ჭყვიშის კომპოზიციების ფონზე, რაჭველ თინეიჯერებს თანამედროვე ხელოვნების ანაბანასთან აზიარებდა. მიშა შენგელიას მიერ, ჩვეულებრივ ოსტატობით შესრულებულ, პოსტმოდერნისტული საფოსტო კონვერტების სერიას, ორგანულად დაემატა კუთხისადმი დამახასიათებელ მოტივებზე შექმნილი „წერეთელმა დაგვიბარა“ და „რაჭული ლორი“. აღსანიშნავია, მხატვარ ვახო ბულაძის ინსტალაცია „პანტერა თივაში“ და ფოტოპროექტი „მიტოვებული ჭიშკრები“, რომელიც დღევანდელი რაჭის პრობლემატიკასთან და პოსტსაბჭოთა წარსულის რეალიზებთან თუ ფსევდომედიანტული განწყობასთან ოპონირებს. ვორქშოპის ბოლო დამეს, კოტე ჯინჭარაძის ინსტალაცია-პერფომანს-

ში - „ვილაპარაკოთ ხელოვნებაზე“, რომელიც ფიროსმანის ცნობილი ფრაზის ვიზუალურ ინტერპრეტაციას წარმოადგენდა, თავად მხატვრები მონაწილეობდნენ.

დასკვნითმა გამოფენამ, რომელიც თბილისის ისტორიის მუზეუმში მოეწყო, სახელოვნებო საზოგადოების გაულწრფელი სიმპათია დაიმსახურა. გამოფენა 27 მაისს დაიხურა.

ვორქშოპი დასრულდა. კულტურული დიალოგი შედგა, დაიწყო ღია, მეგობრული, შემოქმედებითი ურთიერთობა თბილისელ და პეტერბურგელ მხატვრებს შორის და ჩვენ დარწმუნებული ვართ, იგი, დროთა განმავლობაში უფრო გაღრმავდება, გაფართოვდება და ახალ შეხვედრებს, ახალ შემოქმედებით კონტაქტებს, ახალ ერთობლივ პროექტებს დაუდებს სათავეს.

პროექტის, „ქართული პლენერის“ ყველა მონაწილე გაულითად მადლობას უხდის გალერეა „ქარვასლას“ და თბილისის ისტორიის მუზეუმს აქტიური მხარდაჭერისათვის.

Georgian Plenary Workshop

PROJECT SUPERVISORS – KOTE JINCHARADZE AND ALEXANDER FLORENSKI

In the present-day general background of strained geopolitical and social-economic relations between Georgia and Russia every positive event stands out as a hope for future positive development of peaceful neighborhood.

New contacts, refreshment of existing ties with representatives of the artistic community of our neighbor country, promotion of their art, deepening of cultural dialogue, personal meetings between Georgian and Russian artists acquire special importance.

On May 8-19 2007 Racha Region (West Georgia highland) hosted the second workshop of Georgian and Russian artists. The event, christened "Georgian Plenary", took place in an old house in Chkvishi Village.

Participants of the action were, on the one hand, artists Ivan Sotnikov and Alexander and Olga Florenski – founders of the vanguard art group Mitki, popular in Russia in the 1980-1990'ies, and, on the other hand, RestArt Group, represented by Georgian artists Vakhtang Bugadze, Misha Shengelia, Mamuka Japaridze and Kote Jincharadze.




RestArt can be interpreted as "leisure through art" or, if twisted another way – "the art of leisure". On the other hand, "restart" is a computer neologism, meaning "to recharge", "to refresh". Ambiguous title of the Georgian art group fell in full conformance with the character of the action, organized for the second time in Kote Jincharadze's old family house (the first workshop was held in 2005).

